ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 12 – 13 აგვისტო, 2017

№190 (7425)

ფასი: 50 თეთრი

## რუსული მავთულხლართები ხურჩაშიც გამოჩნდა

გვ.2



10 აგვისტოდან

100 წიგნი

ადამიანები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო




პინოჩეტი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

# „სააკაშვილის ჩვენება „ოცნებისთვის“ შესაძლოა საბედისწერო აღმოჩნდეს“



კომბლებსა და ვაშლებს თავი დაანებოს და იმაზე გვიპასუხოს, რატომ ჩაიქრა გამოცდებზე ამდენი ახალგაზრდა. ასეთი ჩავარდნა რომ აქვს, რა ნამუსით რჩება განათლების მინისტრის თანამდებობაზე?!

გვ.3

## გიგლა ბარამიძე: „ხელისუფლება შეეცდება, საქართველოში მიშიკოს ექსტრადიცია არ მოხდეს“

ვეკითხები ხელისუფლებას: თქვენ თუ მართლა ეძებთ სააკაშვილს და მართლა გინდათ მისი დასჯა, თუ ორი კოსტიუმის მიღმა მართლა გაქვთ მის წინააღმდეგ მასალები, როგორ ახერხებს ეს ადამიანი აქეთ-იქით სიარულს? ის ხომ ჩვენს მეგობარ ქვეყნებში დადის და რატომ არ მიმართავენ იმათ ხელისუფლებებს, ხომ ამბობენ, რომ არნახული მხარდაჭერა აქვთ ევროპაში.

რატომ მოატყუეს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი



## ვის გადააბარებს ხელისუფლებას ივანიშვილი

კახა კუკავა: „ოცნებაში“ შიდაკლანური დაპირისპირებაა“

გვ.3





## თავისუფალი დემოკრატები თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ამბობენ

გვ.2



## აფხაზეთში რუსი ტურისტების მძევლად აყვანაც დაიწყეს

გვ.5



გვ.6

### ელექტროენერგიის ტარიფების გადახედვა და კორექტირება ყოველწლიურად აღარ მოხდება

ISSN 1987-9385

### ორჯერ აყვავებული ტყემალი და ორჯერ მოყვანილი სიმინდი – რევოლუციური გარღვევა სოფლის მეურნეობაში



გვ.6



გვ.6

### სექტემბრიდან სკოლის ბუფეტებში არაჯანსაღი პროდუქტის გაყიდვა აიკრძალება

### სოფლის მეურნეობის სამინისტრო – მეღვინეობის დარგი მზად არის, ყურძენი მთლიანად გადაამუშაოს

გვ.6



# თავისუფალი დემოკრატები თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ამბობენ

## შალვა შავგულიძე: „ჩვენ 2020 წლისთვის მოვემზადებით“

ნათია ხურცილავა



**თავისუფალი დემოკრატების თავმჯდომარე შალვა შავგულიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე საუბრობს.**

***– ბატონო შალვა, რატომ მიიღეთ გადაწყვეტილება, რა იყო მიზეზი, რომ უარი გეთქვათ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობაზე, რადგან მარტივი არ არის, პოლიტიკურმა პარტიამ უარი თქვას არჩევნებში მონაწილეობაზე.***

– დიახ, მართლაც არ არის მარტივი გადაწყვეტილება, მაგრამ პოლიტიკურად ეს უფრო მიზანშეწონილად მივიჩნიეთ და აგიხსნით, რატომაც: საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჩვენს პარტიაში საკმაოდ მძიმე ვითარება შეიქმნა. პარტია ლიდერებმა, წევრებმა დატოვეს. ასეთი სერიოზული რყევების შემდეგ დადგა საკითხი, კარს მომდგარ ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა. ფაქტობრივად, ამოცანა იყო პარტიის გადარჩენა– არგადარჩენა. ვინც პარტიაში დავრჩით, საკმაოდ სერიოზული შრომა გავწიეთ, რომ პარტია პოლიტიკურ სივრცეში დარჩენილიყო და ის ერთ-ერთი სოლიდური, დასავლური ორიენტაციის პოლიტიკური ძალა ყოფილიყო ქართულ პოლიტიკაში, თუმცა, რადგანაც არჩევნებში მონაწილეობა საჭიროებს გარკვეულ ფინანსურ რესურსებს, ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს, რაც საკმაოდ პრობლემურია ჩვენს ვითარებაში, ჩვენ უარი ვთქვით ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობაზე.

სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდით, ჩვენ საკმაოდ საინტერესო შემოთავაზება მივიღეთ, ვგულისხმობ რესპუბლიკელების შემოთავაზებას. ეს პროექტი რომ განხორციელებულიყო, მართლაც შესაძლებელი იქნებოდა ამ არჩევნებში სოლიდურად წარდგენა.

ამ პროექტის პირველი საფეხური ითვალისწინებდა, რომ ჩვენ, თავისუფალ დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს საარჩევნო ბლოკი შეგვექმნა. ამ ბლოკში სხვა პოლიტიკური ძალის შემოერთება გათვალისწინებული არ იყო, თუმცა სხვადასხვა მოსაზრება გვქონდა გარკვეულ საკითხებზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო, რომ ჩვენი საარჩევნო სია საზოგადოებრივ პლატფორმაზე ყოფილიყო და არა პოლიტიკოსებისთვის, მოქალაქეებით, ექსპერტებით, სპეციალისტებით დაკომპლექტებულიყო ჩვენი საარჩევნო სია.

ასევე მოგეხსენებათ, ჩვენი იდეა იყო, რომ ალეკო ელისაშვილისთვის დაგვეჭირა მხარი, როგორც დამოუკიდებელი, არაპარტიული კანდიდატისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პროექტის რეალიზება შესაძლებელი არ გახდა.

***– რატომ, რა იყო მიზეზი?***

– ერთადერთი, რის თქმაც შემიძლია, არის ის, რომ ამის მიზეზი არ ყოფილან არც თავისუფალი დემოკრატები და არც რესპუბლიკელები.

***– მაშინ, რა იყო მიზეზი?***

– ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით ვერ განხორციელდა ეს პროექტი, მაგალითად, ვერ მივაღწიეთ იმ ხარისხს, რაც საჭირო იყო საზოგადოების ჩართულობის თვალსაზრისით საარჩევნო პროცესში. როგორც ჩანს, იმდენად საინტერესო არ გახდა საზოგადოებისთვის, რომ მართლაც საზოგადოებრივ პლატფორმად გადაქცეულიყო თუნდაც საარჩევნო სია. ადგილობრივი თვითმმართველობით დაინტერესებული არაპარტიული, არაპოლიტიკური პირები ამ პროცესში ვერ ჩავაბით. იყვნენ მსურველები, მაგრამ ეს ვერ შექმნიდა იმ სურათს, რომელიც საჭირო იყო ამ პროექტის რეალიზებისთვის.

***– ბატონო შალვა, შეიძლება, რეალური მიზეზი იყო ის, რომ რესპუბლიკელებთან ვერ შედგა თანამშრომლობა, რადგანაც განსხვავებული მოსაზრებები გქონდათ სტრატეგიულ საკითხებზე.***

– არა, არავითარ შემთხვევაში, მსგავსი რამ არ ყოფილა. ის იდეა, რომელიც რესპუბლიკურმა პარტიამ მოგვაწოდა, ასეთი სახით ხომ არ გვეცადა ერთობლივად ამ არჩევნებში წარდგომა, ჩვენთვის საინტერესო იყო, ერთობლივად დავხვეწეთ კიდეც, მაგრამ ეს იდეა ვერ განხორციელდა და ამის მიზეზი არც ჩვენ ვყოფილვართ და არც რესპუბლიკელები.

შემდეგ არჩევანის წინაშე დავდექით, გვილირდა თუ არა ამ იდეის გარეშე არჩევნებში მონაწილეობა, გადავწყვიტეთ, რომ არ გვიღირდა. რესპუბლიკურმა პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მისთვის მაინც მიზანშეწონილია არჩევნებში მონაწილეობა.

***– კონკრეტულად დაუჭერთ მხარს ვინმეს?***

– კონკრეტულად არა, მაგრამ გულწრფელად წარმატებას ვუსურვებთ დასავლური ორიენტაციის, პრინციპულ კანდიდატს.

***– ბატონო შალვა, გამოდის, რომ თავისუფალი დემოკრატები ტაიმაუტს იღებთ და პოლიტიკური სცენიდან გადიხართ?***

– არავითარ შემთხვევაში. ჩვენ აქტიურ მონაწილეობას გავაგრძელებთ პოლიტიკურ პროცესებში, ეს იქნება საკონსტიტუციო ცვლილებები თუ საკანონმდებლო ინიციატივები საჭირბოროტო საკითხებზე. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შევთავაზეთ საკანონმდებლო ინიციატივა ოკუპანტ ქვეყანასთან ურთიერთობის რეგულირებასთან დაკავშირებით. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხია. ამ მხრივ ჩვენს კანონმდებლობაში თეთრი ადგილია დარჩენილი და ყველა სათავისოდ იყენებს თეთრ ადგილს. აქტიური ურთიერთობა გვაქვს ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან და ეს გაგრძელდება.

***– თქვენი პარტიის მთავარი ორიენტაცია იქნება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები?***

– დიახ. ჩვენი მთავარი კონცენტრაცია სწორედ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისკენ იქნება მიმართული, რათა სოლიდურად ვიყოთ წარმოდგენილი პარლამენტში და მოვიდეთ ხელისუფლების შემადგენლობაში.

***– და როგორ წარმოგიდგენიათ, დამოუკიდებლად თუ?***

– ეს ჯერ წინ არის. მე მაინც ვფიქრობ, რომ თანდათანობით მოხდება პოლიტიკური სპექტრისა და ამომრჩევლის ორ ნაწილად გაყოფა. ვინ სად ხედავს საქართველოს მომავალს – ერთნი ალბათ რუსეთთან დაბრუნების პერსპექტივაში და მეორენი – დასავლეთთან და ცივილიზებულ სამყაროსთან ჩვენი ქვეყნის სრულფასოვან ინტეგრაციაში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენი პოლიტიკური აქტივობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იქნება, შეიქმნას ერთიანი დასავლური ფრონტი ზოგადად რუსული ოკუპაციის საწინააღმდეგოდ. აქ რა კონფიგურაცია დალაგდება საბოლოოდ, რა სახეს მიიღებს ეს კონფიგურაცია, ვინ როგორ წარდგება, ამის თქმა ჯერ ძალზე რთულია. ვფიქრობ, ორი ბანაკი შეიქმნება: ერთი, რუსეთზე ორიენტირებული და მეორე დასავლეთზე, დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკური ბანაკი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არათუ ვიქნებით დასავლეთზე ორიენტირებული ბანაკის წევრი, არამედ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ პროდასავლური ძალების გაერთიანება მოხდეს.

# დაცვის თანამშრომლის ცემის ფაქტზე შსს-მ გამოძიება დაიწყო



ქუთაისის სავაჭრო ცენტრ „ქარვასლაში“ კერძო დაცვის თანამშრომლის ცემის ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, საქმეზე გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართის კოდექსის 118-ე მუხლით, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ქუთაისში, სავაჭრო ცენტრ „ქარვასლაში“, ობიექტის დაცვის თანამშრომელს სცემეს. შემთხვევა გუშინ ღამით მოხდა. თვითმხილველის თქმით, დაცვის თანამშრომელს ხუთი ახალგაზრდა უმოწყალოდ სცემდა. ნაცემ მამაკაცს ფეხი აქვს მოტეხილი.

თვითმხილველების ინფორმაციით, ახალგაზრდები ერთ-ერთ მაღაზიაში ნივთის მოპარვას ცდილობდნენ, რაშიც მათ ხელი დაცვის თანამშრომელმა შეუშალა. ნაცემი მამაკაცი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

# სასაზღვრო პოლიციამ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე თურქეთის ორი მოქალაქე დააკავა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ოპერატიულ-საგამოძიებო ბიუროსა და სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, №2 სამმართველოს (ახალციხე) №6 სასაზღვრო სექტორის (კარწახი) დასაცავ მონაკვეთზე, თურქეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის ფაქტზე დააკავეს.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოს მიმართულებით, უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

„გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით)“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

# რუსული მავთულხლართები ხურჩაშიც გამოჩნდა

შორენა მარსაგიშვილი



**რუსები საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას აგრძელებენ. ამჯერად მათ სამეგრელოში „ივაჟკაცეს“. 10 აგვისტოს ცნობილი გახდა, რომ ხურჩა-ნაბაკევის ოკუპირებულ ზოლში ოკუპანტებმა მავთულხლართები გააბეს. 10 აგვისტოს საქართველოს ხელისუფლებამ ეს ინფორმაცია არ დაადასტურა, ამბობდნენ, გადავამოწმებთო, მეორე დღეს კი ე.წ. საზღვრის გადმოწევის ფაქტი დადასტურდა.**

– ვადასტურებთ ხურჩა-ნაბაკევის საზღვარზე მავთულხლართების გაბმის ფაქტს. აღნიშნული წარმოადგენს ე.წ. ბორდერიზაციის უკანონო პროცესის გაგრძელებას და არა მარტო ზღუდავს ადგილობრივი მცხოვრებლების ფუნდამენტურ უფლებას, არამედ პირდაპირპროპორციულად აზიანებს უსაფრთხოების გარემოს ადგილზე. აღნიშნული განსახილველად დადგება ინციდენტების პრევენციისა და მასზე რეაგირების ჯგუფის შეხვედრაზე გალში, – განუცხადეს სუსში პირველ რადიოს.

რუსების ქმედებას საქართველოს საგარეო სამინისტროც გამოეხმაურა. მიხეილ ჯანელიძის უწყება საგანგებო განცხადებას ავრცელებს, საიდანაც ვიგებთ, რომ რუსები მავთულხლართების გასავლებად გაზაფხულიდან ემზადებოდნენ.

– ?საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ აფხაზეთის რეგიონის საოკუპაციო ხაზზე, კერძოდ, ზუგდი-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სააკაშვილის ჩვენება „ოცნებისთვის“ შესაძლოა საბედისწერო აღმოჩნდეს“

შორენა მარსაგიშვილი

**რა განიზრახა გიორგი მარგველაშვილმა, რატომ ვერ შეუკერეს სააკაშვილს საქმე, რისი ეშინია ხელისუფლებას, რა შუაშია განათლებასთან ვაშლი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი, დემოკრატიული მოძრაობის წევრი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.**




## რატომ მოატყუეს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი

## გიგლა ბარამიძე: „ხელისუფლება შეეცდება, საქართველოში მიშიკოს ექსტრადიცია არ მოხდეს“

***– განათლების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას თქმით, შემოდგომიდან ბავშვებს სკოლაში ვაშლებს დაურიგებენ. ეს ინიციატივა საყოველთაო ქილიკის საგანი გახდა. თქვენ რას ფიქრობთ ამ ინიციატივაზე?***

– საქართველოს სირცხვილია, რომ ასეთ ადამიანს აბარია მეცნიერება და განათლება. ჩვენ იძულებულნი ვართ, მაგის მორიგ სისულელეებზე გავაკეთოთ კომენტარები. კარგი იქნება, თუ ნაცარქექიასთან და კომბლესთან მებრძოლი ჯეჯელავა აგვიხსნის, რატომ ვერ უზრუნველყო ის, რომ ელემენტარული განათლების მიღმა არ დარჩენილიყო რამდენიმე ათასი ახალგაზრდა.

კომბლებსა და ვაშლებს თავი დაანებოს და

**ვეკითხები ხელისუფლებას: თქვენ თუ მართლა ეძებთ სააკაშვილს და მართლა გინდათ მისი დასჯა, თუ ორი კოსტიუმის მიღმა მართლა გაქვთ მის წინააღმდეგ მასალები, როგორ ახერხებს ეს ადამიანი აქეთ-იქით სიარულს? ის ხომ ჩვენს მეგობარ ქვეყნებში დადის და რატომ არ მიმართავენ იმათ ხელისუფლებებს, ხომ ამბობენ, რომ არნახული მხარდაჭერა აქვთ ევროპაში.**

იმაზე გვიპასუხოს, რატომ ჩაიჭრა გამოცდებზე ამდენი ახალგაზრდა. ასეთი ჩავარდნა რომ აქვს, რა ნამუსით რჩება განათლების მინისტრის თანამდებობაზე?!

ასევე აგვიხსნას, რატომ არღვევს კონსტიტუციას ბატონი მინისტრი და არ უზრუნველყოფს, საქართველოს მოქალაქეებმა სახელმწიფო ენა იცოდნენ. ამ დღეებში ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ ადგილებში ვიყავი, მოსახლეობასთან მქონდა შეხვედრები. სხვებთან ერთად სხვადასხვა ასაკის სკოლის მოსწავლეებსაც გავესაუბრე და ჰოი, საოცრებავ, ამ ბავშვებმა ერთი სიტყვა არ იციან ქართულად. ამას ფიგურალურად არ ვამბობ, მართლა არცერთი ქართული სიტყვა არ იციან.

***– რა ასაკის ბავშვებზეა საუბარი?***

– მეორე, მესამე და მეხუთეკლასელ ბავშვებს გავესაუბრე, თან გაითვალისწინეთ, რომ ეს დასახლება თბილისის შემადგენლობაში შედის. ბავშვებთან ერთად მათ მასწავლებლებსაც გავესაუბრე და ქართული ენა არც მათ იცოდნენ. როდესაც ვკითხე, რატომ არ იცით ქართულიმეთქი, მიპასუხეს, არ გვჭირდება, არავინ გვთხოვს ქართული ენის შესწავლასო.

სახელმწიფო ენას რომ არ ასწავლი შენს მოქალაქეებს, განათლების მინისტრმა ამაზე პასუხი არ უნდა გაგვცეს? ანდა სად წავიდა ის 140 მილიონი დოლარი, ამერიკამ რომ გამოგვიყო განათლების სისტემისთვის. იმის მაგივრად, რომ ზოგადი განმარტებები გაეკეთებინათ, სპეციალური სამსახურები შექმნეს ამ მილიონების გასახარჯად.

იმის მაგივრად, რომ ეს თანხა განათლების სფეროს გაუმჯობესებას მოხმარდეს, ის ვილაცების კაბინეტების მოწყობაზე იხარჯება.

განათლების მინისტრმა იმაზეც გაგვცეს პასუხი, რატომ იხოცებიან ახალგაზრდები ნარკოტიკებით, რატომ მიდის ნარკომანიის პროპაგანდა და რატომ არაფერს უპირისპირებს ამას.

როგორც უკვე გითხარით, ამ კაცის განათლების მინისტრობა მთელი საქართველოს სირცხვილია. ჩვენდა საუბედუროდ, მას არც სხვა მინისტრები ჩამოუვარდებიან.

აი, ეს კომენტარი შეიძლება გავაკეთო ამ ბანკის ტრენერზე. ჯეჯელავა ერთ ცნობილ ბანკში ტრენინგებს ატარებდა, მერე უცბად მოჰკიდეს ხელი და მინისტრად დასვეს.

ამ ბანკზეც მინდა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა – აღმოჩნდა, რომ ყველა კარგი მენეჯერი, წარმატებული ბიზნესმენი, ინტელექტუალი აქ ყოფილა თავმოყრილი. სპეცსამსახურებიც კი ამ ბანკის თანამშრომლებით დააკომპლექტეს. რომელი ჰარვარდი, ოქსფორდი და იელის უნივერსიტეტი ეს ბანკია.

უნივერსიტეტი ვახსენე და ახლო მომავალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მიმდებარედ, სარეკრეაციო ზონაში რამდენიმე თივის ძნა უნდა მივიტანო, ერთი პატარა კოცონი გავაჩაღო ტელეკამერების თანდასწრებითა და ყოველგვარი უსაფრთხოების ნორმების დაცვით, რომ სერიოზული ხანძარი არ გაჩნდეს.

***– ამ კოცონით ვისი ყურადღების მიპყრობა გინდათ?***

– ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მერობის კანდიდატების ყურადღება უნდა მივიპყრო. ეგენი ხომ ცეცხლთაყვანისმცემლები არიან და მხოლოდ ცეცხლის წინ და ცეცხლის უკან აკეთებენ კომენტარებს. იმედია, ეს ცეცხლის ალიც მიიზიდავს ცეცხლთაყვანისმცემლებს და ნახავენ, რა ხდება უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ნადგურდება სარეკრეაციო ზონა და ბეტონის უზარმაზარი კონსტრუქციებით რესტორანი შენდება.

ძვირფასო მერობის კანდიდატებო, ხან მურს რომ წაისვამთ სახეზე და ხან ვედროთი ისხამთ თავზე წყალს, ქალაქისთვის ასეთი დამაშვრალი ვარო, რატომ არ ინტერესდებით ამ საკითხით? ცეცხლს მე დაგინთებთ, მოდით და მის ფონზე თქვით, რომ ქალაქის ცენტრში სარეკრეაციო ზონის განადგურება არ შეიძლება.

სამაგიეროდ, მერობის ერთი კანდიდატი დედაქალაქში ღამის ცხოვრების განვითარებას გეგმავს. შე დალოცვილო, სანამ ღამის ცხოვრებას მიხედავ, იქნებ ჯერ დღის თბილისი ამოასუნთქო. მეორემ კანდიდატურა მანამდე ვერ წარადგინა, სანამ სააკაშვილმა პირჯვარი არ გადასწერა. ახლა დარბის და ყველას მუშტებს გვიქნევს. კი მაგრამ, შენი ხელისუფლება არ იყო 9 წელი ქვეყნის სათავეში, რატომ არ მიხედეს ქალაქს?!

მერობის კანდიდატები იქით იყვნენ და პრეზიდენტი, პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარეც უსინდისოდ მოიქცნენ. მათ მთელი ქვეყანა მოატყუეს, ხალხს უთხრეს, პენსის ვიზიტი საქართველოსთვის არნახული შედეგით დასრულდაო. საინტერესოა, შედეგში რას გულისხმობენ? ალბათ იმას, ხინკალი რომ მიირთვა.

***– თქვენი აზრით, ამ ვიზიტს არანაირი შედეგი არ მოუტანია?***

– საქართველოდან წასული პენსი მანილაში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს შეხვდა. ისინი რამდენიმე საათის განმავლობაში საუბრობდნენ, ისაუბრეს სირიაზე, უკრაინაზე, ყირიმზე, დონეცკზე, დიპლომატიურ კრიზისზე, სანქციებზე, საქართველო კი ერთი სიტყვითაც არ უხსენებიათ. არადა, წინა დღეებში პენსმა თბილისიდან მიმართა რუსეთს, საქართველოში საქართველოში საზღვრებს არ გადმოგაწევინებთო.

თუ ეს კაცი ამას პირში არ ეტყოდა ლავროვს, აბა, რას ფაფხურობდით, თქვე გაჭირვებულებო, რისთვის მოიღრიცეთ კისერი და გაუმართავი ინგლისურით რისთვის მოიჩლიქეთ ენა? მეც მინდოდა, ეს ვიზიტი შედეგიანი ყოფილიყო, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა და ხალხის მოტყუებას თავი დაანებეთ.

***– ინგლისურ ენაზე საუბარი ახსენეთ და რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ, რომ ქვეყნის უმაღლესმა მთავარსარდალმა ქართულ ჯარს ინგლისურ ენაზე მიმართა?***

– ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებისგან განსხვავებით, მარგველაშვილს ერთი წიგნით მეტი აქვს წაკითხული. ეს ადამიანი ხშირად საუბრობს ბრეჟნევის ეპოქაზე, რაც მას თურმე „ქართული ოცნების“ მმართველობის სტილმა გაახსენა. კი მაგრამ, თავად პრეზიდენტად ბრეჟნევის ეპოქის სტილში არ დასვეს? თუ, ნაციონალების მსგავსად, რაც შენ გინდა, ის დემოკრატიაა და, რაც არ მოგწონს, დემოკრატიის დარღვევაა.

კომუნისტების დროს ხალხს საყველპუროდ მაინც ეკითხებოდა, ესა და ეს ადამიანი ხომ არ დავნიშნოთ ამ თანამდებობაზეო. მარგველაშვილი აიღეს და პირდაპირ დასვეს პრეზიდენტად. ბრეჟნევის დროს ამაზე უარესები კი არ ხდებოდა.

**კომბლებსა და ვაშლებს თავი დაანებოს და იმაზე გვიპასუხოს, რატომ ჩაიჭრა გამოცდებზე ამდენი ახალგაზრდა. ასეთი ჩავარდნა რომ აქვს, რა ნამუსით რჩება განათლების მინისტრის თანამდებობაზე?!**

2013 წელს დედის რძესავით რომ შეირგო ეს ქმედება, ახლა რატომ უკვირს რაღაცები? „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი არასდროს ვყოფილვარ და არც ვიქნები, მაგრამ მარგველაშვილმა კულულებიან კობახიძეს ბრეჟნევის დრო არ უნდა გაახსენო.

მარგველაშვილისაც კარგად მესმის, პრეზიდენტად დასმის დღიდან ცდილობს, საკუთარი თავისგან პოლიტიკური ფიგურა შექმნას.

ახლა რაც შეეხება მის ინგლისურ მიმართვას, მესმის, რომ გვერდით აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი ედგა, მაგრამ ქართული ჯარისთვის ქართულად რომ მიემართა, პენსი სცემდა თუ მისი ცოლი აუწევდა ყურს?

ამან ერთი საინტერესო ისტორია გამახსენა: საქართველოში რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე იყო ჩამოსული. ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები იმაზე ბჭობდნენ, რა ეთხოვათ მეფისთვის. ერთი ფრთა ითხოვდა, მოდით, სამხედრო სასწავლებლის გახსნა ვთხოვოთო, მეორე ფრთას უნივერსიტეტი უნდოდა.

მაშინაც კაი სირცხვილი ვჭამეთ, სტუმარს რომ კარგი დრო გაეტარებინა, ლამაზ ქალს ურჩევდნენ. გასართობად ბოლოს ერთი ცნობილი ქალი შეარჩიეს. მერე იმაზე ატყდა ამბავი, საქართველოში თანამედროვე საწმერთულები არ იშოვებაო და სომეხი ვაჭარი თურქეთში გააქანეს მის საყიდლად. შემდეგ ამ საწმერთულში გამოაწყვეს ქალბატონი და შეუგორეს მეფეს.

მარგველაშვილს შეეძლო, ამერიკისთვის რაღაც მნიშვნელოვანი ეთხოვა, მაგრამ მან ახალი „ნამესტნიკის“ – აშშ-სთან ურთიერთობის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა მოითხოვა, თითქოს ელჩი საკმარისი არ იყოს.

***– ყოფილ პრეზიდენტზეც მინდა გკითხოთ: სააკაშვილს მოქალაქეობა წართმეული აქვს, მაგრამ თავისუფლად გადაადგილდება ევროპის ქვეყნებში. საქართველოს ხელისუფლება ისევ მის შესაძლო ექსტრადიციაზე საუბრობს. თქვენი აზრით, დააკავებენ ნაცმოძრაობის ლიდერს?***

– პროკურატურა, სპეცსამსახურები და იუსტიციის სამინისტრო რომ უსუსურების გაერთიანებაა, ამაზე სააკაშვილის ამბავიც კარგად მეტყველებს. რამდენ ქვეყანაშიც ჩავა სააკაშვილი, იმდენჯერ დაკნინდება საქართველოს ხელისუფლება.

ვეკითხები ხელისუფლებას: თქვენ თუ მართლა ეძებთ სააკაშვილს და მართლა გინდათ მისი დასჯა, თუ ორი კოსტიუმის მიღმა მართლა გაქვთ მის წინააღმდეგ მასალები, როგორ ახერხებს ეს ადამიანი აქეთ-იქით სიარულს? ის ხომ ჩვენს მეგობარ ქვეყნებში დადის და რატომ არ მიმართავენ იმათ ხელისუფლებებს, ხომ ამბობენ, რომ არნახული მხარდაჭერა აქვთ ევროპაში.

გამუდმებით იმაზე საუბრობთ, რომ მან შექმნა სისტემური რეჟიმი. რატომ არ გინდათ მისი პასუხისგებაში მიცემა? იქნებ არ გინდათ, რომ მან რაღაც ისეთი თქვას? ამასთან დაკავშირებით სერიოზული ეჭვები არსებობს.

***– რა ეჭვები, ფიქრობთ, რომ ხელისუფლებას მისი დაჭერა არ უნდა?***

– სააკაშვილი იყო ის კაცი, რომლის წყალობითაც საქართველო ტუსაღების რაოდენობით ევროპაში პირველ ადგილზე იყო. მან მიჰყიდა რუსებს ქართული მიწები და თანამედროვე შეიარაღება, ათასი უბედურება მოუტანა ქვეყანას და ამ კაცს მარტო ორი კოსტიუმი ამოუქექეს.

„ქართული ოცნება“ შეეცდება, საქართველოში მიშიკოს ექსტრადირება არ მოხდეს. მათ პატიმრობაში მყოფი სააკაშვილი არ აწყობთ. მისი ფსიქოტიპი რომ ვიცი, ხელი არ ექნებათ მოკიდებული, რომ ყველაფერს დაფქვავს და ყველას ჩაუშვებს. სააკაშვილის ჩვენება „ოცნებისთვის“ შესაძლოა საბედისწერო აღმოჩნდეს. ხელისუფლების დიდი ნაწილი ნაციონალებთან ურთიერთობაშია გასვრილი და, არ გამოვრიცხავ, საერთო ბიზნესიც ჰქონდეთ.

ხელისუფლება სააკაშვილის დაპატიმრებით რომ ყოფილიყო დაინტერესებული, ამ თემაზე აშშ-ის ვიცეპრეზიდენტთან ისაუბრებდნენ და მის წინააღმდეგ არსებულ მასალებს გადასცემდნენ.

***– თქვენ რამდენიმე თვის წინ განაცხადეთ, რომ საკრებულოში ხელისუფლება მხოლოდ ნაციონალებს გაიყვანდა.***

– ახლაც იმავეს გავიმეორებ, საკრებულოში მოხვდებიან „ოცნება“, ნაციონალები, „ევროპული საქართველო“ და მათთან დაახლოებული პირები. საქართველოში მყოფი აშშ-ის ვიცეპრეზიდენტიც მხოლოდ მათ შეხვდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ არჩევნები ასეთი შედეგით დასრულდება.

პარტიები, რომლებიც ვიცეპრეზიდენტს უნდა შეხვედროდნენ, აშშ-ის ელჩმა საქართველოში იან კელიმ შეარჩია. მე თავად დიპლომატი ვარ და ასე არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ბატონმა ელჩმა თავისი ხელისუფლება მოატყუა. მან ვიცეპრეზიდენტს საქართველოში არსებულ ვითარებაზე სწორი ინფორმაცია არ მიაწოდა და იმ პარტიების წარმომადგენლებს შეახვედრა, რომლებიც ხალხის ნდობით არ სარგებლობენ. ამის შესახებ ამერიკულმა ტაიმსმაც დაწერა და გერმანულმა ბილდმაც.

კელის გადაწყვეტილება „ოცნებისთვისაც“ მისაღები აღმოჩნდა. მათ ოპოზიციად მხოლოდ ნაციონალები და მათი განშტოებები აწყობთ. ამათ შორის თითქმის ყველა ზღვარი წაშლილია.

# ვის გადააბარებს ხელისუფლებას ივანიშვილი

ნონა ცაბაძე

## კახა კუკავა: „ოცნებაში“ შიდაკლანური დაპირისპირებაა“





**ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებს „ახალ თაობასთან" ინტერვიუში თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა აფასებს.**

***— ბატონო კახა, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ბუკიკიოს შემოთავაზებაზე, რომ ოპოზიციამ და ხელისუფლებამ ბრიუსელში მიაღწიონ შეთანხმებას, აცხადებს, რომ ამას არანაირი აზრი არ აქვს, თუ შეთანხმება ჩვენთან მოხდა. რის თქმა სურდა ამით კობახიძეს, ისევ დიალოგზე იწვევს ოპოზიციას?***

— ხელისუფლებამ თვითონაც არ იცის, რა უნდა. მართალია, ოკუპანტის ენაა, მაგრამ ძალიან უხდება საკონსტიტუციო ცვლილებებს „ი ხოჩიტსია, ი კოლიტსია“. ჩამოყალიბდეს ხელისუფლება, რა უნდა! თუ არ უნდათ დათმობებზე წასვლა, მაშინ შეთანხმებაც არ იქნება. ისე, რომ დათმობებზე არ წავიდნენ და შეთანხმებას მიაღწიონ, ეს არის შეუძლებელი! ამიტომ პოლიტიკური თვისება, პოლიტიკური გუნდის თვისება და თუ თავიანთი თავი მიაჩნიათ რაიმე ძალად, მაშინ დროულად მიიღონ გადაწყვეტილება, მათ შორის მძიმე და არაორდინარულიც. დღეს ხელისუფლება ნამდვილად ჰგავს 18 წლის გოგოს, რომელსაც „ი ხოჩიტსია, ი კოლიტსია“.

***— ანუ ხელისუფლება უარს ამბობს ბუკიკიოს შემოთავაზებაზე?***

— დღეს ჩვენთან ხელისუფლება ამორტიზებულია, ძალიან მძიმე ვითარებაში ჩაიგდეს თავი, ისევე, როგორც შევარდნაძემ მმართველობის ბოლო წლებში. დღეს ოცნებაში აღარ არის ერთი ცენტრი, ძალაუფლების ერთი წრე, არის რამდენიმე ცენტრი. ეს ცენტრები ერთმანეთთან კონკურენციის რეჟიმში არიან. ის, რომ რაღაცა უნდა კალაძეს, სულაც არ ნიშნავს, რომ იგივე უნდა ვოლსკის. პირიქით, ვოლსკი არის ჩასაფრებულ პოზიციაში, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოაჯდეს მის ადგილს. არსებობს ძალოვანი სტრუქტურები, რომლებიც ღარიბაშვილის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და მუდმივად იმით არიან დაინტერესებული, რომ კვირიკაშვილს მოუწყონ სხვადასხვა ობსტრუქცია. ძალიან რთულია, რაიმე საკითხზე თქვა, რომ ხელისუფლებას ეს უნდა ან არ უნდა!

***— იმის თქმა გინდათ, რომ შიდაკლანური ბრძოლები მიმდინარეობს?***

— რასაკვირველია, შიდაკლანური ბრძოლები მიმდინარეობს. ეს აისახება კონსტიტუციური რეფორმის პროცესზე. ცალკეული ჯგუფები ხელისუფლების შიგნით აცნობიერებენ იმას, რომ მესამე მოსმენით ერთპარტიული კონსტიტუციის მიღება იქნება სრული კატასტროფა „ქართული ოცნებისთვის“, რაც ნიშნავს იმას, რომ დაიწყება ლუკაშენკოს მსგავსი იზოლაცია. ლუკაშენკო უძლებს ამ იზოლაციას, იმიტომ რომ ხალხი კარგად ჰყავს დაპურებული. ამას საქართველოს ხელისუფლება ვერ გაუძლებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი ძალიან სწრაფად, 2020 წლამდე დაამთავრებენ ძალიან ცუდად! მათ არ აქვთ პოლიტიკური გამოცდილება, სამაგიეროდ, აქვთ პოლიტიკური სიხარბე და მიაჩნიათ, რომ არ უნდა დაუთმონ ოპოზიციას ან საარჩევნო სისტემა, ან ბარიერი, ან ბლოკები. ისევ ცდილობენ იმას, რომ ყველა არჩევნებში მიიღონ ხმების 50%-ზე მეტი, რაც აბსოლუტურად არარეალისტური ოცნებაა და ეს ოცნება დაღუპავს მმართველ პარტიას.

***— თქვენ ვოლსკი და კობახიძე ახსენეთ და დადგება დღის წესრიგში საკითხი, რომ არჩევნებამდე შეიცვალოს პარლამენტის თავმჯდომარე?***

— ეს საკითხი დღის წესრიგში უკვე დგას. თუმცა კობახიძეს ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც და ხელისუფლების შიგნით ნებისმიერი ცვლილება იწვევს ამ წონასწორობის დარღვევას ანუ ხელისუფლება არ არის იმ ვითარებაში, რა ვითარებაშიც იყო თუნდაც წინა ხელისუფლება, როდესაც მათ შეეძლოთ, პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე მიეღოთ საკადრო გადაწყვეტილება. ეს ხელისუფლება კი უფრო ჰგავს შევარდნაძის რეჟიმს, ნებისმიერი ერთი საკადრო გადაწყვეტილება იწვევს თანასწორობის რღვევას. ამიტომ, თუ კობახიძეს მოხსნიან, მაშინ კალაძის ჯგუფს, რომელსაც წარმოადგენს კობახიძე, უნდა გადაუხადონ შესაბამისი კომპენსაცია, მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი ან სხვა რაღაცა.

***— ანუ კობახიძე კალაძის კადრია?***

— დიახ, კობახიძე კალაძის კადრია და მან მოიყვანა „ქართულ ოცნებაში“. კობახიძე წარუმატებელი სპიკერია, ისევე, როგორც „ქართული ოცნების“ ჩინოვნიკების დიდი უმრავლესობა. ყველა მათგანი შერჩეულია ნეპოტიზმის და არა პირადი პროფესიული ნიშნით.

***— ვოლსკი ვისი კადრია?***

— ვოლსკი დღეს უკვე არავის კადრი არ არის. ის წარმოადგენს ფრაქცი განაწყენებულებს, დავარქვათ ვოლსკის დეპუტაცია, რომლებსაც მეტი გავლენა ჰქონდათ წინა პარლამენტში. ამ პარლამენტში მათ ეს გავლენა დაკარგეს, მაგალითად, ნუკრი ქანთარია, რომელიც აკრიტიკებს კონსტიტუციის პროექტს, განა იმიტომ, რომ ჩვენს მოსაზრებებს იზიარებს და კონსტიტუცია არ მოსწონს, არამედ იმიტომ, რომ ვერ ბედავს კობახიძის ღია კრიტიკას და, კონსტიტუციას როცა აკრიტიკებს, გულისხმობს კობახიძეს.

***— ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს კობახიძის ადგილას?***

— მსურველები ძალიან ბევრი არიან, ისევე, როგორც ჟვანიას გადაყენების შემთხვევაში, მაგრამ მაშინ არავინ ელოდა, რომ ნინო ბურჯანაძე გახდებოდა პარლამენტის თავმჯდომარე. მეც ასევე შემიძლია ვთქვა, რომ კობახიძის გადაყენების შემთხვევაში შეიძლება ვოლსკის უნდა ეს ადგილი, მაგრამ, რთული სათქმელია, რა მოხდება და ვინ დაიკავებს ამ პოსტს.

***— პოლიტიკური ძვრები და ცვლილებები ადგილობრივი არჩევნების შემდეგ არის მოსალოდნელი?***

— უფრო არჩევნების შემდეგ არის მოსალოდნელი, მაგრამ დღეს ხელისუფლება იმ ვითარებაშია, როდესაც ეს ცვლილებები არჩევნებამდეც არ არის გამორიცხული.

***— ამ სიტუაციაში, როდესაც ვამბობთ, რომ ხელისუფლებას სერიოზული კრიზისი აქვს, ჩაერთვება ბიძინა ივანიშვილი პროცესებში?***

— ამ წუთას გაურკვეველია, ბიძინა ივანიშვილის როლი რა არის „ქართული ოცნების“ შიდა სტრუქტურაში. სრულიად აშკარაა, რომ ის საჯაროდ არ მონაწილეობს პროცესებში. თუმცა საარჩევნო კამპანია ჯერ კიდევ ორი თვე გაგრძელდება. არ არის გამორიცხული, ის ჩაერთოს ცოტა უფრო მოგვიანებით, თუმცა, მე შემიძლია გითხრათ და ამაზე 100%-ით პასუხს ვაგებ, რომ ბიძინა ივანიშვილი ემზადება როგორც პოლიტიკის, ასევე საქართველოს დატოვებისთვის.

***— ეს ადგილობრივ არჩევნებამდე მოხდება?***

— ეს შესაძლოა არ მოხდეს ადგილობრივ არჩევნებამდე, მაგრამ აუცილებლად მოხდება 2020 წლამდე. ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, შეინარჩუნოს თავისუფლება და მილიარდები. ის დღეს ამ რეჟიმშია.

***— თუმცა ექსპერტთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ივანიშვილი მესამე ვადითაც მოვა. თქვენ ამას გამორიცხავთ?***

— შესაძლოა, ბიძინა ივანიშვილი თავიდან ამას ფიქრობდა, მაგრამ ბოლო ერთი წელია, შეეგუა აზრს, რომ 2020 წელს მოუწევს ხელისუფლების გადაბარება. დღეს ივანიშვილი მშვიდი და უმტკივნეულო გადაბარებისთვის ემზადება.

## რუსთავის მერის ყოფილი მოადგილის სარჩელი მოსამართლემ დააკმაყოფილა



რუსთავის მერის ყოფილი მოადგილის გოჩა ლორიას სარჩელი მოსამართლემ დააკმაყოფილა. ნატა თედაშვილის გადაწყვეტილებით, გოჩა ლორიას სამსახურიდან გათავისუფლება ბათილად არის ცნობილი. რუსთავის მერიას განაცდურის ანაზღაურება და ლორიას თანამდებობაზე აღდგენა დაევალა.

რუსთავის მერმა დავით ჯიქიამ მოადგილე თანამდებობიდან 2016 წლის 16 ნოემბერს, დანიშვნიდან ოთხი თვის თავზე გაათავისუფლა.

## მტკვარში 18 წლის ბიჭი დაიხრჩო



მდინარე მტკვარში 18 წლის ახალგაზრდა მამაკაცი დაიხრჩო.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, მაშველების მისვლისას მამაკაცი გარდაცვლილი იყო.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

## რუსთავი-თბილისის ავტობანზე მანქანის დაჯახების შედეგად ქვეითად მოსიარულე დაიღუპა




რუსთავი-თბილისის ავტობანზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, შემთხვევა თბილისი-რუსთავი-წითელი ხიდის მე-15 კილომეტრზე გვიან ღამით მოხდა.

მსუბუქი ავტომანქანა ქვეითად მოსიარულე 60 წლამდე ასაკის მამაკაცს შეეჯახა, რომელიც გარდაიცვალა.

ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით აღიძრა და მიმდინარეობს გამოძიება.

## დეპუტატის შვილის დაღუპვის საქმეზე სამ პოლიციელს ბრალი წარედგინა




პროკურატურამ გორის გვირაბთან მომხდარი ავარიის დროს დაღუპული ბექა ხახუბიას საქმეზე საპატრულო პოლიციის შიდა ქართლის სამმართველოს სამ თანამშრომელს ბრალი წარუდგინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პროკურატურაში განუცხადეს, გამოძიება საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე და 116-ე მუხლების დარღვევას ედავება, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

17 მაისს, გამთენიისას, გორის გვირაბთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ხახუბიას ვაჟი, 21 წლის ბექა ხახუბია დაიღუპა.

არსებული ინფორმაციით, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავ მანქანას გორის გვირაბთან პოლიციელებმა გზა ტრაილერით ჩაუხერგეს. მძღოლი ტრაილერს შეასკდა და გარდაიცვალა.

აღნიშნულ საქმეზე შსს-მ შიდა ქართლის საპატრულო პოლიციის რამდენიმე თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვა.

## საგამოძიებო სამსახურმა უაქციზო საქონლის გადაზიდვა-რეალიზაციის ფაქტზე ერთი პირი დააკავა



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარკირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა-რეალიზაციის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირი ქალაქ თბილისში, უაქციზო ალკოჰოლური სასმელების – კონიაკი Hennessey X.O-სა და არაყი Beluga-ს რეალიზაციას ახორციელებდა.

– საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია უაქციზო ალკოჰოლური სასმელი, რომლის საერთო ღირებულება 8.736 ლარს შეადგენს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის II ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით, – ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

მარიამ მჭედლიშვილი

# აფხაზეთში რუსი ტურისტების მძევლად აყვანაც დაიწყეს

**ოკუპირებულ აფხაზეთში წლევანდელი საკურორტო სეზონი ტრაგიკული აღმოჩნდა ბევრი ჩამოსული დამსვენებლისათვის. რუსი ტურისტები დაიღუპნენ და მძიმედ დაშავდნენ შეიარაღებული თავდასხმების, ავიაგასეირნებების, ასევე იარაღის საწყობების აფეთქების შედეგად. ზოგიერთი მათგანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.**

აფხაზეთში გახსნილმა რუსეთის ე.წ. საელჩომ თანამემამულეებს სიფრთხილისკენ იარაღის საწყობების აფეთქებამდე მოუწოდა, როსტურიზმმა კი რუსეთის მოქალაქეები აფხაზეთში არსებული რისკების შესახებ გააფრთხილა.

რუსეთის წარმომადგენლების უსაფრთხოების საკითხს აფხაზეთში ჩასული პუტინიც შეეხო. მან იმედი გამოთქვა, რომ მათ დაცვაში ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრი ჩაერთვება.

ძნელი დასაჯერებელია, რომ სამართალდამცავი ორგანოების ერთობლივმა ცენტრმა უშველოს ოკუპირებულ აფხაზეთში მომრავლებულ დამნაშავეობას, კლანების თარეშსა და ხალხის გალატაკებას.

აფხაზეთში შექმნილი განუკითხაობის ფონზე სენსაციად არ აღიქმება ინფორმაცია იქ ორი რუსი ტურისტის მძევლად აყვანის თაობაზე.

ეს ინფორმაცია ქალაქ ეკატერინბურგის მერმა ევგენი როიზმანმა გაავრცელა. მისი მონაცემებით, ეკატერინბურგელი მამა-შვილი გაგრაში მომხდარი ავტოავარიის შედეგად მძევლებად აიყვანეს.

საგზაო შემთხვევა 7 აგვისტოს მოხდა. ამის შედეგად დაზიანდა როგორც ეკატერინბურგელი ვასილი სნიგირიოვის, ისე ადგილობრივი მცხოვრების ავტომობილები.

სნიგირიოვმა ბრალი აღიარა და ხელწერილით დაადასტურა, რომ აფხაზეთის მკვიდრს მანქანას გაურემონტებს. თუმცა, დაზარალებულმა რემონტის თანხა არ იკმარა და მას 200 ათასი რუბლი მოსთხოვა.

მას მხარი აუბა გაგრის ავტოინსპექციამ. ინსპექტორებმა მას საბუთები ჩამოართვეს და განაცხადეს, რომ სანამ 200 ათას რუბლს არ გადაიხდის, სნიგირიოვი და მისი 16 წლის ვაჟი, ასევე მათი ავტომანქანა, აფხაზეთში დარჩება. ადგილობრივი პროკურატურა საქმეში არ ჩაერია.

რუსეთის მოქალაქეს არ მისცეს უფლება, დაზიანებული ავტომობილი ევაკუატორით სოჭში გადაეყვანა.

სნიგირიოვს საგზაო პოლიციელებმა უთხრეს, რომ მილიცია და საბაჟო მათ მხარესაა, პროკურატურის კი არ ეშინიათ.

საქმეზე კომენტარის გაკეთება მოუხდა თავად დაკავებულს. იგი ირწმუნება, რომ მძევლობაში არ იმყოფება.



ავტოინსპექცია ამ შემთხვევას გაუგებრობას უწოდებს და იმას უკავშირებს, რომ აფხაზეთში ვერ ამოქმედდა სადაზღვევო სისტემა.

რუსეთის ე.წ. საელჩოს განმარტებით, არავის არავინ მძევლად არ აუყვანია. საგამოძიებო მოქმედებების შემდეგ ტურისტის მანქანას რუსეთში უპრობლემოდ გადაიყვანენ, დაკავებული კი მზადაა, რემონტის ფული გადაიხადოს.

საქმის გახმიანების შემდეგ საქმეში რუსეთის დიპლომატიური მისიის ჩარევის შემდეგ ჩაერთო პროკურატურა.

მძევლობის ფაქტის უარყოფა არადამაჯერებელია, მით უმეტეს, აფხაზეთის სახელგატეხილი ავტოინსპექციის საქმიანობის ფონზე.

საკურორტო სეზონის დასაწყისში ავტოინსპექტორების მხრიდან ფულის გამოძალვამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ „წესრიგის დამცველებს“ რუსეთისნომრებიანი მანქანების გაჩერება საერთოდ აეკრძალათ. ამას საგზაო ინსპექტორების სამსახურიდან მასობრივი წასვლა მოჰყვა.

# 12-ვოლტიანი ოცნება — მარტოობას შეგუებული კაცი პირიქითა ხევსურეთიდან



იმედა მურღუევი პირიქითა ხევსურეთში, არდოტის თემის სოფელ ბახაოში მარტო ცხოვრობს. სიცოცხლის ბოლომდე აქ აპირებს ყოფნას. ბევრი რამ აწუხებს, თუმცა პრობლემების მომგვარებელი ჯერჯერობით არავინ ჩანს.

იმედა ანუ ჯამრული, როგორც „ხევსურეთში ეძახიან“, ბახაოში 1993 წელს გადმოსახლდა. ბარში სახლ-კარი, მანქანა, ერთი სიტყვით, მთელი ქონება გაყიდა და 500 ათასი მანეთი სალაროში შეიტანა. ფული, რა თქმა უნდა, დაკარგა. თავი სოფელს შეაფარა. პატარა სახლში, რომელსაც დღეს სახურავის ნაცვლად ბრეზენტი აქვს გადაფარებული და წყალს აპარებს, დედასთან ერთად ცხოვრობდა.

მშობლის გარდაცვალების შემდეგ მარტოა დარჩენილი. „ჩემ საკმაო რაღაცას დავთესავ და ეგ არი“. პურსაც აცხობს და თავსაც უვლის. ეგ კი არადა, ფრანგ ტურისტებსაც უმასპინძლა ყავით! სანამ თავს ვუვლი არა მიშავსო, ამბობს, ჯანი რომ აღარ გამყვება, მერე გამიჭირდებაო.

ნანობს, რომ ახალგაზრდობაში ოჯახის შექმნა ვერ „მოტვინა“. ისეთი ხასიათისა ვიყავი, ქალები კი არ გამირბოდნენ, მე გავურბოდიო. თავის შესაქცევად ერთ 12-ვოლტიან ტელევიზორზე ოცნებობს.

„მარტოკა საქონელი სწუხდება და მე ხო ადამიანი ვარ. მარტოობას კი არა, ციხეს ეგუებიან პატიმრები. ზოგს იქ სწადის, აღარ მოდის სახლში. შეეგუები მარტოობასაც, აბა რას იზამ. თუ არ აიტანე, იდარდებ, ინერვიულებ და უარესია. აბა ეხლა მე ვინ მომივა აქ ამხანაგად და ვინ დამიწყებს ლაპარაკს, ვინ არი ჩემსავით მოხუცი?! აღარავინაა“.

იხსენებს, რომ წლების წინ სოფელში 14 კომლი ცხოვრობდა. ზოგი ბარში წავიდა, ზოგიც გარდაიცვალა და ახლა მის გარდა ორი კაციღა შემორჩა ბახაოს. ისინიც მხოლოდ ზამთარში მოდიან და საქონელი მოჰყავთ. ხალხის დაბრუნების იმედი აღარ აქვს, თუმცა მაინც სჯერა, რომ თუკი გზისა და ელექტროენერგიის პრობლემა მოგვარდება, აქაურებს შეიძლება უკან გამოუწიოთ გულმა.

ასაკშია და ჯანმრთელობას ყურადღებას უნდა აქცევდეს, თუმცა, ცუდად თუ გახდა ან წამალი დასჭირდა, შატილში, დაახლოებით 25 კილომეტრზე „დოხტურ“ მიხეილ ჭინჭარაულთან ფეხით მოუწევს ჩასვლა.

გზა არდოტამდეა, ისიც მხოლოდ მაღალი გამავლობის ავტომობილებისთვის. არდოტს იქით ბახაომდე კიდევ 5 კილომეტრია, მდინარე არღუნზე საფეხმავლო ხიდებით. იმედას იმ ხიდებზეც უჭირს გადასვლა, სხეულს ველარ იმორჩილებს და შეიძლება წყალში გადავარდეს.

„ბევრი არც გადარჩა როცა ექიმი არ იყო, ისე მოკვდა. იმიტო, რო ოპერაცია გჭირდება, ან კიდე წამალი. მანქანა თუ მოვარდება და გამიყოლებენ ბედზე ხო კაი, თუ არადა თავს ძალა უნდა დავატანო და ნელ-ნელა ფეხით ჩავიდე. უბრალო საქმეზე ვერ ჩავალ, იმიტო რო ფეხით სიარული აღარ შემიძლია.“

ყველაზე მეტად მაინც შეშის გარეშე დარჩენა აშინებს. „მცივა, აბა მოხუცი კაცი ვარ, ველარ ვთბები. აი ეგ მიჭირს მე. გზა რო აქამდე იყვეს მანქნისა, მანქნით შეშას მომიტანდეს, დამიყრიდეს კარებზე, ვიქნებოდი, არ მოვკვდებოდი სიცივით მაინც. შიმშილით არ მოვკვდები, იმიტო რო პენსია მაქვს, დახმარება მაქვს და ფულს მაძლევენ.“

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ბახაოში არ აკითხავენ. თუკი რამ უჭირს, თავად ჩადის რაიონის გამგებელთან. ასე, საჩივრით მოახერხა და ელექტროენერგიისთვის მზის პანელი დაუმონტაჟეს, წყლისთვის კი რეზინის მილი მისცეს.

**მთის ამბები**

# ალექსანდრე ჯეჯელავა: „საპირფარეშოების მიზეზის გამო იმდენ დირექტორს გავათავისუფლებ, რამდენიც საჭირო იქნება“

განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას განცხადებით, ის გაათავისუფლებს ყველა იმ სკოლის დირექტორს, რომლებიც სველი წერტილების საკითხს არ მოაგვარებენ. ამის შესახებ მან ჟურნალისტებს განუცხადა.

– საპირფარეშოების თემა არასდროს დამთავრდება, სანამ ყველა დირექტორი არ მიეჩვევა, რომ ეს არის პირველი პრიორიტეტი. მეკითხებიან, თუ გავათავისუფლებ დირექტორებს თანამდებობიდან ამ მიზეზით. დიახ, გავათავისუფლებ. რამდენიც გადაწყვეტს, რომ ბავშვის ჯანმრთელობაზე შეიძლება ენერგიის ან რესურსების ეკონომია, იმდენ დირექტორს გავათავისუფლებ, რამდენიც საჭირო იქნება.

მადლობა ღმერთს, რომ ბევრმა დირექტორმა ძალიან სერიოზულად მიიღო ეს საკითხი. ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები გვაქვს, თუმცა ჯერ შორს ვართ იმ სტანდარტებისგან, რაც გვჭირდება, – განაცხადა მინისტრმა.



განათლების მინისტრმა სკოლებში „ვაშლების დარიგების“ პროგრამაც დააანონსა. ჯეჯელავას განმარტებით, კვირაში ერთხელ იმ სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 1000-ს აჭარბებს, სკოლის პედაგოგები და მანდატურები მოსწავლეებს ვაშლებს დაურიგებენ.

განათლების მინისტრის თქმით, თბილისში პროექტში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა 40.000-დან 60.000-მდე მერყეობს.

– ამ პროექტის მიზანია, რომ შესვენებაზე ბავშვებმა შეჭამონ ვაშლი. სულ ასეთი თბილისში დაახლოებით 40.000-დან 60.000-მდე მოსწავლეა. ასევე, ვაპირებთ კამპანიის დაწყებას, რომ მშობლებმა სკოლაში ბავშვებს გამოატანონ ვაშლი, – თქვა ჯეჯელავამ.

ჯეჯელავას თქმით, ტენდერი, თუ რომელი კომპანია მოამარაგებს სკოლებს ვაშლებით, ჯერ არ გამოცხადებულა.

**მედიანიუსი**

# რუსული მავთულხლართები ხურჩაშიც გამოჩნდა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დის რაიონის სოფლების – ხურჩისა და შამგონას მიმდებარე ტერიტორიაზე მავთულხლართების გავლების ფაქტს. მიმდინარე წლის აპრილში საოკუპაციო ძალებმა აღნიშნულ პერიმეტრზე ჩაატარეს მოსამზადებელი სამუშაოები და დაამონტაჟეს ხის ბოძები, რის შესახებაც საქართველოს პარტნიორი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები ოპერატიულად იქნენ ინფორმირებული, – ვკითხულობთ განცხადებაში.

უწყების განმარტებითვე, 9-11 აგვისტოს ზემოხსენებული სეგმენტის 800-900- მეტრიან მონაკვეთზე გავლებულ იქნა მავთულხლართები, რასაც ჩვენებურები გამიზნულ პოლიტიკას უწოდებენ:

– აფხაზეთის რეგიონში ოთხი ე.წ. გადასასვლელი პუნქტის დახურვის შემდეგ საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართების გავლების პროცესი წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის გამიზნული პოლიტიკის ნაწილს, მეტ იზოლაციაში მოაქციოს ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობა და ნებისმიერი ხერხით შეუშალოს ხელი სამშვიდობო პროცესებს, – აცხადებენ უწყებაში.

მათივე თქმით, რუსეთის საოკუპაციო ძალების ეს ქმედება უხეშად არღვევს ადგილობრივი მოსახლეობის ფუნდამენტურ უფლებებს და კიდევ უფრო გაართულებს აფხაზეთის რეგიონში ჰუმანიტარული კუთხით არსებულ ისედაც მძიმე მდგომარეობას.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვიტოს საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ნაბიჯები, პატივი სცეს საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნაკისრ ვალდებულებს, მოახდინოს საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაცია და გადადგას ნაბიჯები კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემით.

გარდა ამისა, საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო შეფასება მისცეს და მოახდინოს შესაბამის რეაგირება რუსეთის საოკუპაციო ძალების მორიგ ქმედებებზე, რომელიც მიმართულია სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიების ფაქტობრივი ანექსიისკენ და აზიანებს როგორც უსაფრთხოების გარემოს, ასევე – საერთაშორისო წესრიგს.

# დავით ბერძენიშვილი: „სალომე ზურაბიშვილი პრორუსი გახდა“

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი არ გამორიცხავს, რომ პარტიამ მერობის კანდიდატი წარადგინოს. რაც შეეხება უკვე დასახელებულ ოპოზიციურ კანდიდატებს, ბერძენიშვილი ამბობს, რომ ისინი მხარს დაუჭერენ იმ კანდიდატს, რომელიც ყველაზე ახლოს იქნება პარტია რესპუბლიკელების შეხედულებებთან.

ბერძენიშვილი ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სურათზეც საუბრობს და აცხადებს, რომ ხელისუფლება როგორც საარჩევნო კამპანიის, ისე საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესში ოპოზიციის მოედანზე საბალახოდ გამოშვებულ ჯგუფებს პოულობს.

– ისეთი ტრანსფორმაცია მოხდა, რომ სალომე ზურაბიშვილი გახდა პრორუსი, ისეთი, რომ ინაშვილს მოწაფედ არ გამოადგება. ჟირინოვსკისთან ნამყოფი კუკავა ახლა პრეტენზიებს გამოთქვამს, – ამბობს ბერძენიშვილი „ტვ პირველთან“ საუბრისას.

2017, 12 — 13 აგვისტო, №190

# ორჯერ აყვავებული ტყემალი და ორჯერ მოყვანილი სიმინდი — „რევოლუციური გარღვევა“ სოფლის მეურნეობაში

„ბიორაგი“ — ასე ჰქვია ქართველი მეცნიერის, პროფესორის, ამერიკისა და ევროპის სამეცნიერო საზოგადოებების წევრის, საქართველოსა და ამერიკის ღირსების ორდენების მფლობელის, 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და გამოგონების ავტორის რამაზ გახოკიძის გამოგონებას, რომელმაც სოფლის მეურნეობაში „რევოლუციური გარღვევა“ მოახდინა.

რა დანიშნულება აქვს „ბიორაგს“, რა ეფექტის მოტანა შეუძლია და როგორ გააცოცხლა თურქეთში ზეთისხილის გამხმარი მცენარეები, თავად მისი გამომგონებელი რამაზ გახოკიძე გვიამბობს, რომელიც კემბრიჯის ბიოგრაფიულმა საერთაშორისო ცენტრმა საუკუნის უდიდეს მოაზროვნეთა შორის დაასახელა.

***— ბატონო რამაზ, გვიამბეთ როდის შეიქმნა „ბიორაგი“?***

— „ბიორაგი“ 1979 წელს შევქმენი, რასაც წინ უსწრებდა ფუნდამენტური გამოკვლევები ბიოორგანულ ქიმიაში. ამ მრავალწლიანი კვლევების შედეგად შევქმენი ახალი თაობის რეგულატორები — ბიოენერგოაქტივატორები. ერთ-ერთი არის „ბიორაგი“, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია და გარემოს დაბინძურების გარეშე, ბიოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღების საშუალებას იძლევა. რაც მთავარია, ცნობილი ქიმიური პრეპარატებისგან პრინციპულად განსხვავდება. სახელი „ბიორაგი“ დავარქვი იმიტომ, რომ „ბიო“ სიცოცხლეს ნიშნავს. „რაგი“ კი ჩემს ფირმას ჰქვია. ასევე, შევქმენი სხვა მსგავსი პრეპარატებიც — „ემატონი“, „რაგოცინი“, „რაგილი“, „იმუნორაგი“ და სხვა. ჩემ მიერ შექმნილი ახალი აგრობიოორგანული ტექნოლოგია წარმოადგენს შიმშილისა და არასრულფასოვანი კვების პრობლემის მოგვარების პროგრესულ გზას. ამავდროულად იგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რაოდენობისა და ხარისხის გაზრდის საშუალებაა, ამცირებს გარემოზე ქიმიზაციის ნეგატიურ გავლენას, რაც დიდ ეკოლოგიურ და სოციალურ ეფექტს იძლევა. ჩემი შრომები საფუძვლად დაედო ახალი დისციპლინის — აგრობიოორგანული ქიმიის ჩამოყალიბებას.

***— უფრო კონკრეტულად გვიამბეთ, რა ეფექტს ახდენს „ბიორაგი“ სოფლის მეურნეობაში?***

— „ბიორაგი“ მიწის ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა. მას განსაკუთრებული ეფექტი აქვს ცუდ ნიადაგებზე და არასასურველ კლიმატურ პირობებზე. „ბიორაგის“ გამოყენების შედეგად, მოსავლიანობის ნამატი ბოლო ათ წელიწადში ასეთია: ხორბლის მოსავალი 2 ტონიდან 10 ტონამდე გაიზარდა, შაქრის ჭარხლისა 40 ტონიდან 140 ტონამდე და ა.შ. ჩემს გამოგონებას რამდენიმე დანიშნულება აქვს: გარემოს დაბინძურების გარეშე ბიოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღება; მოსავლიანობის მნიშვნელოვანი ზრდა; მცენარეთა ზრდა-განვითარების დაჩქარება; საადრეო მოსავლის მიღება; მოსავლის ხარისხის გაუმჯობესება და პროდუქციაში ცილის, ნახშირწყლების, ამინმჟავებისა და სხვა ბიოორგანული ნივთიერებების რაოდენობის გადიდება; მწვანე მასის გაზრდა; დაავადებებისა და გარემოს არახელსაყრელი პირობების მიმართ მდგრადობის გაძლიერება; სასუქების ეფექტიანობის გადიდება, რაც მინერალური სასუქების ეკონომიის საშუალებას იძლევა; ნიტრატების, მძიმე ლითონებისა და რადიონუკლეიდების შემცირება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში; ძნელად დასაფესვიანებელ მცენარეთა ვეგეტაციური გამრავლება და ნაყოფმსხმოიარობის რამდენიმე წლით დაჩქარება; ცხოველთა იმუნიტეტისა და პროდუქტიულობის გაზრდა.



***— საქართველოში მოთხოვნა „ბიორაგზე“ რამდენად დიდია?***

— მოთხოვნა დიდია, მაგრამ ვერ ვაკმაყოფილებთ, რადგან წარმოება არ გვაქვს. „ბიორაგი“ თბილისში, უზნაძის ქუჩაზე (№2) ფირმა „აგროინვესტში“ იყიდება. ზოგადად ხელშეწყობა მაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული პროდუქციით არ ინტერესდებიან და უცხოური პრეპარატის შემოტანას ამჯობინებენ.

***— რა კონკრეტული შედეგები მოიტანა „ბიორაგის“ გამოყენებამ?***

— პირველად გურიაში დაიწყეს მისი გამოყენება და ყველაზე მეტი შედეგი იქ გვაქვს. გურულებმა აღმოჩენა გააკეთეს და „ბიორაგი“ მეფუტკრეობაშიც გამოიყენეს. ცნობილი ფაქტია, რომ მეფუტკრეობაში ანტიბიოტიკს იყენებენ, რათა ფუტკარი არ დაიღუპოს. ზოგჯერ შხამი თაფლში შედის და მას აღარავინ ყიდულობს. ერთმა ფერმერმა (გ. გობრონიძე) კი გურიაში „ბიორაგი“ გამოიყენა და ეფექტიც ჰქონდა. ფუტკრის ერთი ოჯახის ნაცვლად, სამოცი ოჯახი მიიღო. ასევე, გურიაში მოხდა ასეთი შემთხვევა, რომ „ბიორაგის“ გამოყენების შედეგად, ტყემალი ორჯერ აყვავდა. ერთხელ რომ მოილია, ზამთარში, თოვლში ნაყოფი მეორედ გამოისხა. მარტვილში კი ერთ-ერთ ოჯახში სიმინდი ორჯერ მოიყვანეს. ჩემი პრეპარატი ვეგეტაციიას აჩქარებს. „ბიორაგით“ მოყვანილი პროდუქტები მსოფლიოს წამყვან ლაბორატორიებში, მათ შორის მოსკოვის კვების ინსტიტუტში შეისწავლეს და მისი შედეგები აშკარაა.

***— თქვენს პრეპარატს სამკურნალო დანიშნულებაც აქვს. ამაზე რას გვეტყვით?***

— „ბიორაგის“ გამოყენებით მკვეთრად მაღლდება მოსავლის ხარისხობრივი მაჩვენებლები. მაგალითად, სიმინდში შეუცვლელი ამინმჟავას — ლიზინის შემცველობა იზრდება 98%-ით, იოდის — 960%-ით, სელენის — 200%-ით. კარტოფილში ცე ვიტამინის შემცველობა იზრდება 50%-ით. ანალიზები ჩატარებულია მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ლაბორატორიებში. ადრე თუ პროდუქტი ზედმეტი ქიმიზაციის გამო გვწამლავდა, ახლა მივირთმევთ და თან ვიკურნებით. მთიან რეგიონში ექიმები სამი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ მოსახლეობას, რომლებიც „ბიორაგით“ მოყვანილი პროდუქტებით იკვებებოდნენ. მიიღეს ასეთი შედეგი, რომ გახშირებული დაავადებები, როგორიცაა ინფარქტი, ინსულტი, ჩიყვი და იოდის და სელენის დეფიციტით გამოწვეული სხვა დაავადებები ნაკლებად ფიქსირდებოდა. დადასტურებულია, რომ „ბიორაგით“ მოყვანილი მცენარე ნიადაგიდან მძიმე ლითონებს არ ითვისებს. აღნიშნული ექსპერიმენტი ჩაატარა ჩემმა დოქტორანტმა გ. ავქოფაშვილმა აშშ-ში. ამ ცდებმა რუსები დააეჭვა და ექსპერიმენტი გაიმეორეს ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში (ქ. დუბნა). მათაც იგივე შედეგები მიიღეს, რაც ცნობილ ჟურნალ „აგროქიმიაში“ გამოაქვეყნეს. როგორც ცნობილია, სასუქებს და პესტიციდებს ახასიათებთ მუტაგებური აქტიურობა, რაც კიბოს წარმოქმნის წინაპირობას წარმოადგენს. ახლახან აშშ-ში გამოქვეყნდა გენეტიკური გამოკვლევების შედეგები, სადაც ნაჩვენები იქნა, რომ „ბიორაგის“ საშუალებით მიღებულ პროდუქტს (მიუხედავად ქიმიზაციის გამოყენებისა) ახასიათებს მაღალი ანტიმუტაგენური აქტიურობა და ლაბორატორიულ ცხოველებში პრაქტიკულად მინიმუმამდე ამცირებს მუტაციებს.

***— ვიცით, რომ უცხოეთში, მათ შორის თურქეთში, „ბიორაგით“ დაინტერესება დიდია...***

— სამწუხაროდ, დაინტერესება უცხოეთში უფრო მეტია, ვიდრე საქართველოში. თურქეთში, ქალაქ ადანაში „ბიორაგი“ გამხმარი ზეთისხილის კულტურებზე გამოიყენეს და გახმობას გადაარჩინეს. ახლა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე სურთ მისი გამოყენება. ასევე, იტალიაში, ქალაქ რომში „ბიორაგის“ საშუალებით ვერცხლისფერი ნაძვების ხეივანია გაშენებული.

***— რა სამომავლო გეგმები გაქვთ წარმოებასთან და უცხოეთის სხვა ქვეყნებში პრეპარატის გატანასთან დაკავშირებით?***

— ძალიან დიდია უცხოური ქვეყნების დაინტერესება აღნიშნული ტექნოლოგიით, რომლებთანაც მიმდინარეობს საქმიანი მოლაპარაკებები. ქვეყნებს ჯერჯერობით ვერ დავაკონკრეტებ.

# სოფლის მეურნეობის სამინისტრო — მეღვინეობის დარგი მზად არის, ყურძენი მთლიანად გადაამუშაოს



საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი 2017 წლის რთველის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტრო იუწყება, მინისტრმა აღნიშნა, რომ რთველის ორგანიზებულად ჩასატარებლად როგორც ხელისუფლება, ისე კერძო სექტორი სრულ მზადყოფნაშია.

— რთველის წარმატებით ჩასატარებლად ყველა წინაპირობა არსებობს, ყურძნის მოსავალი საკმაოდ დიდია, ამავე დროს გაზრდილია ღვინის ექსპორტი. რთველთან დაკავშირებული საკითხები ორგანიზებულია, მთავრობამ რთველის ხელშემწყობი ღონისძიებები დაამტკიცა. დღევანდელ შეხვედრაზე კომპანიებთან ვისაუბრეთ იმ დეტალებზე და პროცედურებზე, რომლებიც მთავრობის განკარგულებით არის გათვალისწინებული. შეხვედრა იყო ძალიან მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი, კომპანიების მხრიდან მივიღეთ ინფორმაცია რთველთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე. ვფიქრობთ, რომ მაქსიმალური კოორდინაციითა და ორგანიზებულობით შევძლებთ რთველის სეზონის წარმატებით და ეფექტურად ჩატარებას, — აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი სამანიშვილის განცხადებით, ღვინის მზარდი ექსპორტი რთველის წარმატებით ჩატარების ერთ-ერთი წინაპირობაა.

— კერძო სექტორი მზად არის და კარგად იცნობს წლევანდელ სისტემას, რომლის საფუძველზეც რთველი-2017 უნდა ჩატარდეს. ღვინის კომპანიები გაგებით შეხვდნენ, რომ წელს ყურძენზე მასიური სუბსიდირების საჭიროება აღარ არსებობს, რადგან გაზრდილია ექსპორტი და შესაბამისად, მოთხოვნაც. ზოგადად, მეღვინეობის დარგი მზად არის გადაამუშაოს ყურძენი მთლიანად. მოსავალს წელს საკმაოდ დიდს ველოდებით, ჩვენი პროგნოზით, ინდუსტრიულად გადამუშავდება დაახლოებით 140-150 ათასი ტონა ყურძენი, — აღნიშნა სამანიშვილმა.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მეღვინეობის დარგის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, კახეთის რეგიონში 2017 წლის რთველზე ხარისხიან, კონდიცირებულ ყურძენზე სუბსიდიის გაცემის საჭიროება არ არსებობს და შესაბამისად მთავრობის განკარგულების თანახმად, აღარ გაიცემა.

— როგორც შეხვედრაზე გამოიკვეთა, ამ გადაწყვეტილებას კერძო სექტორის მხრიდან სრული მხარდაჭერა აქვს. მთავრობის გადაწყვეტილებით, ღვინის კომპანიები, რომლებიც საბრენდე სპირტისა და კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის წარმოების მიზნით რქაწითელსა და კახური მწვანის ჯიშის 1 კგ ყურძენს არანაკლებ 70 თეთრად შეისყიდიან, სახელმწიფოსგან კომპენსაციის სახით 35 თეთრს მიიღებენ. დაცული ადგილწარმოშობის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, სუბსიდია შენარჩუნდება რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ალექსანდროულსა და მუჯურეთულზე — 1კგ-ზე გაიცემა 2 ლარი.

გასული წლების მსგავსად, თელავში განთავსდება რთველის საკოორდინაციო შტაბი ღვინის ეროვნული სააგენტოს, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს და სახელმწიფო რწმუნებულების — გუბერნატორების (კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონები) წარმომადგენლების შემადგენლობით.

ამასთან ერთად, ყურძნის რეალიზაციისთვის თვითმმართველ ქალაქებში გამოიყოფა სპეციალური ადგილები, წარმოების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელი კომპანიებისათვის, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, გაგრძელდება სესხების გაცემა საბრუნავი საშუალებების მიზნობრიობით, — აცხადებენ სამინისტროში.

გაფართოებულ ფორმატში გამართულ შეხვედრას ღვინის მწარმოებელი 50-მდე კომპანიის წარმომადგენელი დაესწრო. სოფლის მეურნეობის მინისტრმა და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ კომპანიების წარმომადგენლების შეკითხვებს უპასუხეს.

# სექტემბრიდან სკოლის ბუფეტებში არაჯანსაღი პროდუქტის გაყიდვა აიკრძალება



სკოლის ბუფეტებში განსაკუთრებით არაჯანსაღი პროდუქტის გაყიდვა აიკრძალება.

როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ძირითადად საუბარია შაქრისა და მარილის მაღალი შემცველობის მქონე პროდუქტებზე, ასევე შაქრიან, გაზიან სასმელებზე.

მინისტრის განმარტებით, აკრძალვა შეეხება იმ პროდუქტებს, რაზეც ზუსტად არის ცნობილი, რომ მათ არანაირი სარგებლობა არ მოაქვს.

— ხომ იცით, თავიდან როგორ ხდება. ჩათვლიან, რომ ეს არის დროებითი, პატარა კამპანია. ამან არ უნდა გაიაროს. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, როგორც საზოგადოებამ, რომ განსაკუთრებით მავნე პროდუქტები ჩვენს სკოლებში არ იყოს. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მეორე ნაბიჯია, რომ წავახალისოთ ბუფეტის ოპერატორები, სკოლის ბუფეტები იჯარით გაიცემა კომერციულ კომპანიაზე და ეს კომპანიები უზრუნველყოფენ ბუფეტებში კვებას. ჩვენ შევეცდებით, წავახალისოთ ჯანსაღი საკვები, ხილი, ბოსტნეული და სხვა ჯანსაღი პროდუქტები. მებუფეტეების ტრენინგები, მათთან თანამშრომლობა, სოფლის მეურნეობასთან, ჯანდაცვასთან თანამშრომლობა მიმდინარეობს. უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სექტემბრიდან როდესაც ბავშვები სკოლაში მივლენ, ბუფეტი შეცვლილი დახვდებათ. შემდგომ პერიოდში ჩვენი ბუფეტი სულ უფრო დაიხვეწება, — განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

მისივე თქმით, პროცესი მონიტორინგით გაკონტროლდება, წესების დარღვევის შემთხვევაში კი სანქცია მებუფეტესთან ხელშეკრულების გაწყვეტა იქნება.

# ელექტროენერგიის ტარიფების გადახედვა და კორექტირება ყოველწლიურად აღარ მოხდება



ელექტროენერგიისა და წყალმომარაგების ეროვნულმა კომისიამ ელექტროენერგიის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიებში ცვლილებები შეიტანა.

აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, 2018 წლის 1 იანვრიდან ელექტროენერგიის წარმოებისა (ჰიდროგენერაცია) და გადაცემის ლიცენზიატებს ტარიფები რეგულირების 3 წლიან პერიოდზე დაუდგინდებათ. კომისია კი რეგულირების პერიოდის დასრულებამდე მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გადახედავს და მოახდენს დადგენილი ტარიფების კორექტირებას.

რაც შეეხება ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატებს, მათთვის ტარიფების გაანგარიშება 3 წლიან პერიოდზე 2014 წლიდან ხდებოდა, თუმცა ყოველწლიურად ხდებოდა ტარიფის კორექტირება და ახალი ტარიფების დადგენა.

ახალი რეგულაციების მიხედვით, განაწილების ლიცენზიატებისთვისაც, რეგულირების პერიოდის დასრულებამდე კომისია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გადახედავს და მოახდენს დადგენილი ტარიფების კორექტირებას.

# რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ საინფორმაციო ომი გააძლიერა



რუსეთ-უკრაინის საზღვარზე ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის კონცენტრაცია მიმდინარეობს. პარალელურად უკრაინის წინააღმდეგ საინფორმაციო ომიც ძლიერდება. მან მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიცვა.

რუსებმა ანტიუკრაინულ საქმიანობაში ჩააბეს ისრაელის ნატივის ექსშეფი კედმი, ფრანგი ულტრარადიკალების ლიდერი მარინ ლე პენი, ვენესუელის პრეზიდენტი მადურო, გერმანელი ლიბერალები, იტალიელი მემარჯვენე თუ ულტრამემარცხენე პოლიტიკოსები. ამ კოჰორტას შვეიცარიელი ისტორიკოსი პროფესორი ჰანზერიც შეუერთდა. მან ბერლინში ჩაატარა ლექცია, რომლის დროსაც ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ამერიკელებმა უკრაინაში პუტჩი მოაწყვეს და კანონიერად არჩეული პრეზიდენტი იანუკოვიჩი დაამხეს. პუტინს ყირიმის ანექსია რომ არ განეხორციელებინა, იქ ნატოს ბაზები განთავსდებოდნენ.

– ყირიმის ანექსია წარმოადგენს არა აგრესიას სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ მისწრაფებას, დაიცვან რუსეთის უსაფრთხოება, – შვეიცარიელი მეცნიერი ამას მთელი სერიოზულობით ამტკიცებდა.

რუსეთში უკანასკნელ ხანს შეინიშნება ანტიუკრაინული პროპაგანდის მკვეთრი გააქტიურება, რომლის სქემა შემდეგია: 1) უკრაინის რუსულენოვანი მოსახლეობა ნაციონალისტების ტერორის ქვეშ იმყოფება; 2) უკრაინელი ნაციონალისტები ნატოსა და მოლდოველების დახმარებით დნესტრისპირეთის რესპუბლიკის დალაშქვრისათვის ემზადებიან და, შესაბამისად, სასწრაფოდ უნდა მოხდეს დნესტრისპირეთისაკენ კორიდორის გაჭრა, ანუ უკრაინაში რუსული არმიის დამატებითი ძალების შეყვანა.

– ეს სხვა არაფერია, თუ არა უკრაინაში რუსული ინტერვენციისათვის იდეოლოგიური სარჩულის გამოძებნა, – წერს უკრაინელი ექსპერტი ცაპლიენკო.

თავად უკრაინაში ფრიად პარადოქსული სიტუაციაა. ერთი მხრივ, ხალხი მზადაა, სამშობლო იარაღით ხელში დაცვას; მეორე მხრივ, ანტისახელმწიფოებრივი პროპაგანდა დღისით-მზისით წარმოებს და ხელისუფლება ამას ხელს არ უშლის. პროპაგანდის სქემა შემდეგია: 1) რეგიონული ეგოიზმის გაძლიერება; 2) მოსახლეობაში იმედგაცრუებისა და ნიჰილიზმის დანერგვა; 3) დეზინფორმაციის გავრცელება, მოსახლეობაში პანიკის დათესვა, რეგიონული ეგოიზმის გაღვივება.

დღისით-მზისით პრესითა და ტელევიზიით გაისმის მოწოდებები, რომ კიევის იმედი არ უნდა გვქონდეს და ხალხმა თავს თავად უნდა უპატრონოს. ხარკოვის, ზაპოროჟიეს, ოდესის მოსახლეობას დონბასელ სეპარატისტებთან კავშირსა და რუსეთთან დაახლოებისაკენ მოუწოდებენ, დასავლეთ უკრაინას კი – ე.წ. ზუნრ-ის (დასავლეთ უკრაინის სახალხო რესპუბლიკა) აღდგენასა და ერთიანი უკრაინის შემადგენლობიდან გასვლისაკენ.

– უკრაინას ამჟამინდელ საზღვრებში არც ნატოში, არც ევროკავშირში არ მიიღებენ. თუკი ზუნრ-ი აღდგება, მაშინ ევროპისაკენ გზაც ხსნილი იქნება, – ამტკიცებენ პუტინის მსტოვრები.

ამას „ექსპერტების“ განცხადებებიც ერთვის. პრესითა თუ ტელევიზიით სისტემატიურად გაისმის „სპეციალისტების“ მტკიცებები, რომ რუსეთთან ომი უაზრობაა, რადგანაც მოსკოვი უკრაინაზე ძლიერია. დასავლეთის იმედი კი არ შეიძლება გვქონდეს. ტრამპს პუტინთან შეთანხმება სურს, ევროპას – რუსულ ბაზარზე დაბრუნება. უკრაინისაგან კი ყველა გადაიღალა. აშშ-ც და ევროკავშირიც უკვე თანახმანი არიან, რომ უკრაინაში რუსეთის გავლენა აღდგეს.

– უკრაინა, როგორც სახელმწიფო, ვერ შედგა, ამიტომაც დასავლეთისათვის პრობლემად გადაიქცა. შესაბამისად, რუსეთის გავლენის აღდგენას როგორც აშშ, ისე ევროპა, ფაქტობრივად, მიესალმება! მოვლენებიც პუტინის სასარგებლოდ ვითარდება, – წერს პოლიტოლოგი მიხეილ პოგრებინსკი.

ინტენსიურად გამოიყენება ისეთი მეთოდი, როგორიცაა დეზინფორმაციის გავრცელება. ამისი ნათელი დადასტურებაა ტელეარხ „ზვეზდას“ მიერ გავრცელებული სიცრუე დონბასში უკრაინულ არმიასა და მემარჯვენე სექტორს შორის მომხდარი შეტაკების შესახებ.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უახლოეს ხანებში რუსული პროვოკაციების მკვეთრი გააქტიურებაა მოსალოდნელი. დივერსიები და ტერაქტებიც არ არის გამორიცხული. პიკი, სავარაუდოდ, უკრაინის დამოუკიდებლობის დღეზე, 24 აგვისტოზე, მოვა. საინფორმაციო ომი ძლიერდება, რუსეთ-უკრაინის საზღვარზე კი რუსული სამხედრო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის კონცენტრაცია გრძელდება.

## ტრამპმა პუტინს „მადლობა“ გადაუხადა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა რუსეთიდან ამერიკელი დიპლომატების გაძევების გამო პუტინს „მადლობა“ გადაუხადა. აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ პუტინი სახსრების დაზოგვაში დაეხმარა.

– ჩვენ ისედაც ვფიქრობდით, როგორ დაგვეზოგა სახსრები და ამდენი დიპლომატისათვის რა მოგვეხერხებინა! პუტინი საქმეში დროზე ჩაერია! – ამბობს ტრამპი.

აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ თავადაც საპასუხო ნაბიჯს გადადგამს.

– არ გამოვრიცხავ, რომ აშშ-ის ტერიტორიაზე რუსეთის გენერალური საკონსულო დაიხუროს, – თქვა ტრამპმა.

## ტრამპი: „ჩემი განცხადება ჩრდილოეთ კორეის მიმართ არასაკმარისად მკაცრი იყო“



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გაოცება გამოთქვა ზოგიერთი მოღვაწის განცხადებების გამო, რომლებმაც მას ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებით ზედმეტი აგრესიულობა დასდეს ბრალად. ტრამპი თვლის, რომ მისი განცხადება საკმაოდ რბილი იყო.

– ჩრდილოეთ კორეამ გაბედა და ამერიკას დაემუქრა! ჩემი განცხადებაც არასაკმარისად მკაცრი იყო! ალბათ ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უნდა მეთქვა: ბიჭებო, სანამ ცოცხლები ხართ, გონს მოდით! – აცხადებს ტრამპი.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მხოლოდ განცხადებებს არ დასჯერდება.

– მალე ჩრდილოეთ კორეა ისეთი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, რომელთა წინაშეც ჯერ არცერთი ქვეყანა არ ყოფილა, – თქვა ტრამპმა.

ამავე დროს, მან ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკებები არ გამორიცხა.

– აშშ დიალოგისათვის მუდამ მზად არის! ჩვენ მშვიდობის მოყვარული ერი ვართ და ომი არ გვინდა, თუმცა ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი, – განაცხადა ტრამპმა.

## თურქეთში რუსეთის მოქალაქე დააპატიმრეს

თანახმად „ამერიკის ხმის“ ცნობისა, თურქეთში რუსეთის მოქალაქე დააპატიმრეს. როგორც გაირკვა, ის ექსტრემისტული ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ წევრი იყო. თურქეთის ხელისუფლება მომხდარის გამო ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს. თურქულ მედიაში გაიჟღერა ცნობამ, თითქოს ტერორისტს თურქეთის ტერიტორიაზე განთავსებულ ამერიკულ ბაზაზე მყოფი თვითმფრინავების აფეთქება სურდა.

მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

## თურქეთში ჟურნალისტების დევნა გრძელდება



თურქეთის ხელისუფლებამ 35 ჟურნალისტის დაპატიმრების ორდერი გასცა. ყველა მათგანი კავშირშია აშშ-ში მცხოვრებ ოპოზიციონერ მქადაგებელ გიულენთან. თურქეთის ხელისუფლება გიულენს გასული წლის პუტჩის ორგანიზებაში ადანაშაულებს.

დაპატიმრებულ ჟურნალისტებს წაუყენეს ბრალდება, რომ ისინი გიულენს საიდუმლო ინფორმაციებს გადასცემდნენ, მათ შორის ისეთს, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს.

## ევგენი მარჩუკი: „რუსეთმა სეპარატისტებს უზარმაზარი ოდენობით სამხედრო ტექნიკა მიაწოდა“



უკრაინის უშიშროების სამსახურის ყოფილმა უფროსმა, გენერალმა ევგენი მარჩუკმა განაცხადა, რომ რუსეთი სეპარატისტების შეიარაღებას განაგრძობს. მხოლოდ მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში რუსებმა ე.წ. დონბასელ მოლაშქრეებს გადასცეს 7 ტანკი, 4 საარტილერიო და 7 რეაქტიული სისტემის დანადგარი. ამას გარდა, რუსეთმა დონბასელ სეპარატისტებს მიაწოდა 8 ერთეული საავტომობილო ტექნიკა, 103 ბენზინით სავსე ცისტერნა. დაფიქსირებულია რუსეთ-უკრაინის საზღვრის უკანონოდ გადალახვის 157 შემთხვევა. ამ დროს დონბასში შევიდა საბრძოლო ნივთიერებებით დატვირთული 19 სარკინიგზო ვაგონი, საბრძოლო ნივთიერებებით დატვირთული 10 სატვირთო ავტომანქანა და ა.შ.

– მთელი ეს ინფორმაცია ეუთოს წარმომადგენლებს გადავეცით, – თქვა მარჩუკმა.

რუსული მხარე ამ ინფორმაციის სისწორეს უარყოფს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ სამშვიდობო შეთანხმებებს უკრაინელები არღვევენ. მხოლოდ უკრაინელებს შეაქვთ დონბასში დიდი ოდენობით სამხედრო ტექნიკა და ა.შ.

– ჩადით დონბასში და ყველაფერს საკუთარი თვალით ნახავთ. უკრაინელებმა იქაურობა დაადუღეს. მთელი ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა განადგურებულია. უკრაინული ფორმირებები წინ მიიწევენ და ახალ-ახალ პოზიციებს იკავებენ. მიმდინარეობს დონბასის რუსული მოსახლეობის ნამდვილი გენოციდი. დასავლეთი კი თითს ჩვენკენ იშვერს. განა ეს სამართალია?! – ამბობს ლავროვი.

სულელი მეგობარი მტერზე უარესიაო, ნათქვამია. ლავროვის სიტყვები უნებლიეთ ისრაელის ნატივის ყოფილმა შეფმა და ახლა კი პუტინის ფანმა იაკობ კედმიმ უარყო:

– დონბასელ მოლაშქრეებს პუტინის ბრძანებით დიდძალი სამხედრო ტექნიკა გადაეცათ. მოლაშქრეთა რაოდენობა რუსი ოფიცრებითა და ჯარისკაცებით შეივსო. მალე დონბასის მთელი ტერიტორია უკრაინელი ოკუპანტებისაგან გაწმენდილი იქნება. მეტიც, დონბასელი მოლაშქრეები უკრაინის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონს დაიკავებენ. მსურს, კიევის ხელისუფლებას მივმართო: თქვენი საქმე წასულია, დასავლეთი ვერ გშველით, რადგანაც საკუთარი პრობლემები აქვს, უკრაინისაგან კი ყველა გადაიღალა! – ამბობს კედმი.

## პარიზის ტერაქტის მომწყობი ალჟირელი აღმოჩნდა



მამაკაცი, რომელმაც პარიზის გარეუბანში ფრანგ სამხედროებზე თავდასხმა მოაწყო, ალჟირელი აღმოჩნდა. ამის თაობაზე საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო იტყობინება. როგორც ცნობილია, ტერორისტმა დაკავებისას პოლიციას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია. სროლის დროს ის დაჭრეს. ტერორისტი ამჟამად საავადმყოფოში იმყოფება. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება

საფრანგეთის შსს დაკავებულის ვინაობას ჯერჯერობით არ ახმაურებს. ითქვა მხოლოდ ის, რომ ტერორისტი საფრანგეთში ლეგალურად იმყოფებოდა და პარიზის ერთ-ერთ გარეუბანში ცხოვრობდა. წვრილმანი დანაშაულისათვის ის რამდენჯერმე დაკავებულიც იყო. სპეცსამსახურები ეჭვობდნენ, რომ ტერორისტულ ორგანიზაციებთან ჰქონდა კავშირი. ამის დამტკიცება ვერ მოხერხდა, თუმცა ხსენებული პიროვნება მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ტერორისტმა ტერაქტი მაინც განახორციელა.

## რამზან კადიროვი: „ფილმი „მატილდა“ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე აიკრძალება“

ჩეჩნეთის ხელისუფლების მეთაურმა რამზან კადიროვმა განაცხადა, რომ ფილმი „მატილდა“ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე აიკრძალება. კადიროვის აზრით, „მატილდა“ ამორალური და უნიჭო კინოსურათია. ჩეჩნები მის ნახვაზე დროს უბრალოდ არ დაკარგავენ.

– ხალხი „მატილდას“ აკრძალვას მოითხოვს. მე ხალხის სურვილს ვასრულებ! – თქვა კადიროვმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ნანა ნადარეიშვილი:** მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

**ხვიჩა გოგია:** კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

**მზია დუნდუა:** მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# იაპონელებმა შიმპანზეს თამაში ასწავლეს



იაპონელმა მეცნიერებმა კიოტოს უნივერსიტეტიდან შიმპანზეს „ქვა, მაკრატელი, ქაღალდის“ თამაში ასწავლეს. ამ ინფორმაციას ჟურნალი პრამატები ავრცელებს.

ექსპერიმენტში შვიდი მაიმუნი მონაწილეობდა, მათ წინ დადგმულ ეკრანზე ქაღალდისა და ქვის ნიშნები ჩნდებოდა. ცხოველებს სთავაზობდნენ ერთ-ერთ მათგანზე მიეთითებინათ. სწორი არჩევანისთვის ისინი ჯილდოს სახით საკვებს იღებდნენ. ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ ცხოველები არ მიხვდნენ, რომ ქაღალდი უნდა ამოერჩიათ. ამის შემდეგ პროცესი მეორდებოდა ქვის მაკრატელთან და მაკრატლის ქაღალდთან მისადაგებით.

თამაშის წესები შვიდიდან ხუთმა მაიმუნმა აითვისა. ამისთვის მათ საშუალოდ 307 გამეორება სჭირდებოდათ. მეცნიერებმა ექსპერიმენტი 38 ბავშვთან გაიმეორეს, რომელთა ასაკი 3-6 წლამდე მერყეობდა. სწავლის სისწრაფე იგივე აღმოჩნდა, ხოლო სიზუსტე, რომლითაც ისინი სწორ ნიშნებს არჩევდნენ, ასაკზე იყო დამოკიდებული. ოთხ წლამდე ბავშვები არჩევანს ვარაუდით აკეთებდნენ. მკვლევრების აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ ამოცანების გადაწყვეტის უნარი ადამიანებს მხოლოდ ამ ასაკში უვითარდებათ.

# „მოცეკვავე მილიონერის“ ქონება დააყადაღეს



იტალიელი მეწარმის ჯანლუკა ვაკის 10 მილიონი ევროს ქონება დააყადაღეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი იტალიური გამოცემა ავრცელებს.

გამოცემის ინფორმაციით, საუბარია იახტებზე, ვილებსა და აქციებზე, მათ შორის გოლფკლუბის წილზე. საქმე ის არის, რომ ჰოლდინგურმა კომპანია First Investments-მა, რომელშიც ვაკის დირექტორის თანამდებობა უკავია, ზემოთ ნახსენები თანხის კრედიტი აიღო ბანკიდან Banco BPM.

გარდა ამისა, ინფორმაციაში მითითებულია, რომ ბიზნესმენმა სხვა ბანკისგან აღებული ექვსი მილიონი ევროს ოდენობის სესხი ბოლომდე არ დაფარა. მან ფული სარდინიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე კურორტ პორტო-ჩერვოში ვილის შესაძენად ისესხა. საერთო ჯამში, მისი ვალების საერთო თანხამ 60 მილიონ ევროს მიაღწია, იმ დროს, როდესაც მის მფლობელობაში არსებული აქტივები 28 მილიონ ევროს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ 50 წლის მეწარმის სიმდიდრე მისი ოჯახის ბიზნესს უკავშირდება და რომ კომპანია, რომელიც მის ქონებას მართავს, თითქოსდა მას წელიწადში ხუთ მილიონ ევროს უხდის იმისთვის, რომ ის მმართველობაში არ ჩაერიოს.

„მოცეკვავე მილიონერის“ სახელით ცნობილი მეწარმის კომპანია 1961 წელს არის დაარსებული და ის სამედიცინო წამლების, კოსმეტიკის, ჩაისა და ყავის შეფუთვითა და შესაფუთი მასალების შექმნით არის დაკავებული. მისი წლიური ბრუნვა 1,3 მილიარდი ევროა.

# კრაზანების დევნაში კანადელმა საკუთარ სახლს ცეცხლი წაუკიდა



კანადის პროვინცია ონტარიოს ქალაქ ტანდეიბეის მცხოვრებმა შემთხვევით საკუთარ სახლს წაუკიდა ცეცხლი, როდესაც ის კრაზანების ბუდის მოშორებას ცდილობდა. სახლის პატრონი ცდილობდა, მწერების თავიდან მოშორების საშუალებისთვის მიეგნო. ამ დროს მამამისმა გადაწყვიტა, კრაზანების ბუდისთვის ბენზინი შეესხა, შემდეგ კი მას ცეცხლი მოუკიდა. ცეცხლი სწრაფად მოედო გარეთა კედელს და სარდაფამდე მიაღწია. შემთხვევის ადგილზე გამოძახებით მისული მეხანძრეები იძულებულნი გახდნენ, სახლის ფასადის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოეშალათ და კედელი გაენგრიათ. ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს და მას შენობისთვის მნიშვნელოვანი ზიანი არ მიუყენებია, ასევე აღსანიშნავია, რომ ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა, ასევე არც დამწვრობა მიუღიათ და არც კრაზანებს დაუკბენიათ. ოლქის სახანძრო სამსახურის უფროს ჯონ კაპლანისის თქმით, ეს შემთხვევა სახლის ბინადართათვის ყურადსაღები გაკვეთილი იქნება.

# ამერიკელ ქურდს უნიტაზის არჩარეცხვა ძვირად დაუჯდა



ჩაურეცხავ უნიტაზში აღმოჩენილმა მტკიცებულებამ გასცა ქურდი, რომელმაც ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს ანჯელესში ბინა გაძარცვა.

2016 წლის შვიდ ოქტომბერს ბოროტმოქმედმა კერძო სახლში შეაღწია, ტუალეტით ისარგებლა, მაგრამ უნიტაზის ჩარეცხვა დაავიწყდა. გამომძიებლებმა მისი ექსკრემენტები აღმოაჩინეს და ექსპერტიზაზე გადააგზავნეს.

ამგვარად მიღებული დნმ-ს ნიმუშმა ისინი 42 წლის ენდრიუ ჯენსენთან მიიყვანა. მას ადრეც ჰქონია პრობლემები კანონთან, ამიტომ ინფორმაცია მისი დნმ-ს თაობაზე ფედერალური გამოძიების ბაზაში ინახებოდა.

— უმრავლესობამ არ იცის, რომ დნმ-ს ნიმუშის მიღება მხოლოდ თმის ღერით ან ნერწყვით არ არის შესაძლებელი, — განაცხადა დეტექტივმა ვენტურას ოლქის შერიფის ოფისიდან ტიმ ლომანმა, — ჩვენ კი ნებისმიერ მტკიცებულებას ვეძებთ, რომელიც შეიძლება დამნაშავეს დაეტოვებინა.

ჯენსენი ქურდობის ბრალდებით დააკავეს და გირაოს სახით 70 ათასი დოლარის გადახდა დააკისრეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# საქართველოს ნაკრები ევრობასკეტისთვის თბილისში ემზადება




ევრობასკეტის მოსამზადებელი ციკლის ფარგლებში საქართველოს ეროვნული ნაკრები თბილისის მერიის თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. ევროპის ჩემპიონატის წინ ეს იქნება ნაკრების ბოლო მატჩები თბილისში, რის შემდეგაც ჩვენი ეროვნული გუნდი საბერძნეთში, შემდეგ კი ისრაელში, ევრობასკეტზე გაემგზავრება.

საქართველოს ნაკრებმა ლიტვის ტურნირი მოიგო და სამშობლოში 7 აგვისტოს დაბრუნდა. გუნდს თბილისში დახვდა კაპიტანი ზაზა ფაჩულია, რომელიც ნაკრებთან 8 აგვისტოდან ვარჯიშობს. თბილისის მერიის თასზე ჩვენს ეროვნულ გუნდს სერიოზული ტესტი ელის ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ჩეხეთის ეროვნულ გუნდთან.

მერიის თასის ფარგლებში საქართველოსა და ჩეხეთის ეროვნული გუნდები 2 მატჩს გამართავენ. ამ თამაშებში მოგებების და, თუ საჭირო გახდა, ბურთების შეფარდებით გაირკვევა გამარჯვებული გუნდის ვინაობა, რომელსაც თბილისის მერიის თასი გადაეცემა.

სპორტის სასახლეში ეროვნულმა ნაკრებმა ივარჯიშა, რისი დასკვნითი ნაწილის მასმედიისთვის ღია იყო. ქართველი კალათბურთელების სანახავად და მათთან გასასაუბრებლად მრავალი ადამიანი მოვიდა.

**ილიას ზუროსი:**

— მოთამაშეებით ამ მდგომარეობით კმაყოფილები ვართ. მთავარი სამუშაო სლოვენიაში გვქონდა, რასაც თავი კარგად გავართვით. გუნდს ფიზიკურად ვამზადებთ. აქამდე ტაქტიკაზე ბევრი არ გვიმუშავია, თუმცა ჩვენი კალათბურთელების ფიზიკური მდგომარეობით ძალიან კმაყოფილები ვართ. ვიმედოვნებთ, რომ ასე გავაგრძელებთ. ამ პერიოდში უფრო მეტი ტაქტიკაზე უნდა ვიმუშაოთ. ახლა ზაზაც ჩვენთანაა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გუნდი შეიკრიბა და საუკეთესო დროა, რათა ერთმანეთი უკეთ გავიცნოთ, ვისწავლოთ, როგორ ვითამაშოთ ერთად. ჩეხეთთან ორ შეხვედრაში შევძლებთ გავივარჯიშოთ, შევამოწმოთ რაღაცები და კიდევ უფრო მეტს დავამტკიცებთ დაცვაში. ბექა ბურჯანაძეს აქამდე არ უთამაშია, ექიმებს უნდა გავესაუბრო. ის გუნდთან ერთად იყო, თუმცა არ უვარჯიშია, ახალი არაფერია. ექიმებთან საუბრის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას.

**თორნიკე შენგელია:**

— გუნდში დადებითი სიტუაციაა. ახლახანს გუნდის კაპიტანი შემოგვიერთდა. არ გვქონია ბევრი ვარჯიში, რომ ერთმანეთში კარგად შევთამაშებულიყავით, მაგრამ ეს ორი სასპარინგო მატჩი დაგვეხმარება, კარგ ფორმაში შევხვდეთ ევრობასკეტს. თბილისის მერიის თასზე ჩვენი მეტოქე ძლიერი მოწინააღმდეგეა. ამხანაგური შეხვედრები კარგად ჩაატარეს, უმეტესობა მოგებული აქვთ. მათაც აკლიათ წამყვანი მოთამაშე იან უესლი, თუმცა ძალიან საშიში გუნდი ჰყავთ და, ვფიქრობ, ძალიან საინტერესო თამაში გამოვა.

**მანუჩარ მარკოიშვილი:**

— გუნდში კარგი განწყობაა. ნამდვილად კარგი შეკრება გამოგვივიდა სლოვენიაში, ავსტრიასა და ლიტვაში. გუნდმა ძირითადი სახე მიიღო. ამ ეტაპზე მეტ-ნაკლებად ფორმაში ვართ, მაგრამ დასახვეწია გუნდურობა, ერთმანეთის უსიტყვოდ გაგება, დაცვაშიც და შეტევაშიც, თან ზაზაც ორი დღეა რაც შემოგვიერთდა, მაქსიმალურად იხარჯება, რომ მწვრთნელის ახალი სტილი აითვისოს და ამ ეტაპზე ყველაფერი კარგად მიმდინარეობს.

მ. ჟ.

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

● ნანა ქიბროწაშვილი — ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები. გარანტიით! ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ჯანო ანანიძე: „სიკეთე შეუმჩნევლად გააკეთეთ“

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის სპარტაკის ფეხბურთელი ჯანო ანანიძე, როგორც იქნა, მოედანზე დაუბრუნდა.

საწყის 4 ტურში სათადარიგო სკამზე ყოფნის შემდეგ საქართველოს ნაკრების შემტევი ტულის არსენალთან მოგებულ (2:0) მატჩში ძირითადში გამოჩნდა. მასიმო კარერამ საბოლოოდ ჯანოს 65 წუთი დაუთმო. ანანიძე საკმაოდ აქტიური იყო და მაღალი შეფასებაც მიიღო – 7.5 ქულა.

***– სეზონის სტარტზე მასიმო კარერამ განაცხადა, რომ გუნდში მენტალური დაღლილობაა. თქვენ როგორ გრძნობთ თავს?***

– კარგად. სეზონებს შორის დავისვენე, საამისოდ 20 დღე მქონდა.

***– მათგან რამდენიმე დღე საქართველოში არტიომ რებროვთან ერთად გაატარეთ. აჩვენეთ ქვეყანა?***

– არტიომი მცირე დროით იყო ჩამოსული, ამიტომ ბევრი ვერაფერი ნახა. თუმცა, მაინც მოასწრო ენახა ყველაზე ლამაზი მთები, ეკლესიები, ზღვა, ვენახები. არანაკლებ მოხიბლული დარჩა თბილისითა და მისი ღირსშესანიშნაობებით. მასთან ერთად ვიყავი დედაქალაქიდან 150 კილომეტრში, სადაც მაღალ მთაზე დგას ეკლესია. გარდა ამისა, რებროვმა გასინჯა ქართული სამზარეულო და მითხრა, რომ მათი შედარება მოსკოვში არსებულ ქართულ რესტორნებთან, უბრალოდ, შეუფერებელია.

***– პირადად თქვენი განწყობა როგორია?***

– სეზონის სტარტზე რამდენიმე მატჩში არ მითამაშია. მინდორზე ყოფნა მსურს, მაგრამ შემადგენლობას მწვრთნელი არჩევს. მუდამ ვამბობ, რომ ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია, ამიტომაც 100 კი არა, 150 პროცენტით ვიხარჯები. ასეთი ფეხბურთელი ვარ – უნდა შევქმნა მომენტები, მეტოქე უნდა მოვატყუო... როცა მინდორზე არ ხარ, ტონუსსაც კარგავ. ამიტომაც, ამჟამად ცუდ მდგომარეობაში ვარ, მერე უკვე გართულდება თამაშში სრულფასოვნად ჩართვა.

***– სეზონი ახლა დაიწყო, ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს.***

– კმაყოფილი მხოლოდ მაშინ ვარ, როცა სისტემატურად ვთამაშობ. სხვაგვარად კი ძალიან გაწბილებული ვრჩები.

***– ალბათ მატჩის შემდეგ არავინ არ უნდა შეგაწუხოთ.***

– ჩემმა მეგობრებმა და ნათესავებმა ეს იციან. მატჩის შემდეგ მხოლოდ მაშინ მირეკავენ, როდესაც კარგად ვთამაშობ, ხოლო მოედანზე საერთოდ თუ არ გავდივარ, მაშინ სჯობს არავინ დამეკონტაქტოს. ჩემთვის, ფეხბურთელისთვის, მთავარია თამაში – ყველაზე მთავარი, რაც შეიძლება იყოს...




***– როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება ჩემპიონობის შემდეგ?***

– ადრე ქუჩაში 3-4 კაცი მცნობდა, ახლა ბევრი ადამიანი მოდის, ფოტოებს იღებენ, წითელ მოედანზე, არბატზე, ლუბიანკაზე გასეირნებას მთავაზობენ.

***– ალბათ საქართველოში უფრო მეტი ყურადღებით გეპყრობიან.***

– საქართველოში ჩემიანებს ნამდვილი ზეიმი ჰქონდათ, როცა რუსეთის ჩემპიონი გავხდი. ყველანი რესტორნებში დადიოდნენ, თუმცა ჩემს გარეშე: როგორც კი საჩემპიონო თასი ავწიე, ზეიმი მაშინვე დაიწყეს. მეგობრები ვაიბერით მიკავშირდებოდნენ, მაჩვენებდნენ, როგორ აღნიშნავდნენ ჩემს გამარჯვებას. ბევრი მილოცვა მივიღე, საქართველოს მთავრობიდანაც კი დამირეკეს. სასიამოვნოა, როცა ამდენი ადამიანი პატივს გცემს!

***– ამ გამარჯვებას თავად 10 წელი ელოდით.***

– ყველა ეს წელი ამ გამარჯვებისკენ მიდიოდა, ხოლო როდესაც მიზანს მიაღწევ, უკვე „დაფრინავ“. 4 წლიდან დავდევ ბურთს და რუსეთის ჩემპიონი 24 წლის ასაკში გავხდი. რუსეთი კი პატარა ქვეყანა არ არის. გარდა ამისა, როდესაც გაითავისებ, რომ ჩემპიონი გახდი სპარტაკთან, ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბთან ერთად, ემოციების გადმოცემა ძნელია. კიდევ ბევრჯერ მინდა ჩემპიონი გავხდე.

***– ალბათ მამა ბედნიერი იქნებოდა, თქვენი ეს წარმატება რომ ენახა.***

– ადრეც ვთქვი, რომ ჩემპიონობა მას მივუძღვენი. სულ მეუბნებოდა, რადგან ფეხბურთი აირჩიე, ბოლომდე მტკიცედ იარეო. ვგრძნობ, რომ ისევ ჩემს გვერდშია.

***– მამა გესიზმრებათ?***

– თვეში ორჯერ ან უფრო ხშირად მესიზმრება. ამასწინათ სიზმარში ჩემთან მოვიდა და მითხრა – ძმას მიხედე!

***– და ეს სიტყვები რას ნიშნავს?***

– ძმა საქართველოში ვარჯიშობს, უკვე 20 წლისაა. ქობულეთში, სახლში მამაკაცებიდან მხოლოდ ის და ბაბუა დარჩნენ. მამაჩემმა მე ბევრი მასწავლა, აი, ჩემს ძმასთან კი ასეთ თემებზე საუბარი ვერ მოასწრო. როგორც უფროსი ძმა, ვცდილობ, რომ გამოცდილება გავუზიარო.

***– ხასიათებით ჰგავხართ ძმები ერთმანეთს?***

– ჩემი ძმა უფრო მშვიდია. ამ მხრივ დედას ჰგავს, მე კი ემოციური ვარ და მამას დავემსგავსე. ზოგჯერ აგრესიული ვხდები. უმეტესად, მალევე ვმშვიდდები, მაგრამ ზოგჯერ 2-3 დღე ვბრაზობ. როცა არ ვთამაშობ, მომდევნო დღეებში არც კი ვიღიმები.

***– ფეთქებადი ხართ, მაგრამ მალე მშვიდდებით.***

– ხშირად მასეა, მაგრამ არის სიტუაციები, როდესაც ჩემი თავის დაწყნარებას დიდხანს ვუნდები. თუმცა, ეს მხოლოდ ფეხბურთს ეხება, რადგან ის ჩემი ცხოვრებაა და მძიმე წუთები ძნელად გადამაქვს.

***– ახლობლებს ამ მომენტში ალბათ ძალიან უჭირთ.***

– მთავარია ცოლი მიგებს. როდესაც არ ვთამაშობ, ცდილობს არ შემეხოს. მივდივარ სახლში თამაშის შემდეგ და მხოლოდ ვესალმებით ერთმანეთს. შემდეგ ვწევარ და ვფიქრობ... მხოლოდ ჩემი გოგო როდესაც მეფერება, მაშინ გამოვდივარ მდგომარეობიდან.

***– წელს მეორე გოგოც დაიბადა. ალბათ ახლა ორჯერ უფრო სწრაფად გამოხვალთ მდგომარეობიდან.***

– ალბათ. გოგო მშვენიერია, მაგრამ ბიჭიც მინდა. სანამ ბიჭი არ დაიბადება, ჩემს ცოლს მშვიდი ცხოვრება არ ექნება.

***– ჩვენ ვიცით, როგორი შვილი, ქმარი, მამა და ძმაა ჯანო, მაგრამ არ ვიცით, როგორი შვილიშვილია.***

– ბაბუა 80-ზე მეტის არის. ხშირად მეკითხება მოსკოვის შესახებ. ასევე ხშირად ვსაუბრობთ ჩემ ძმაზე, თუ როგორ თამაშობს. ხანდახან ბაბუას თბილისში ჩასვლას ვთავაზობ, რომ შვილთაშვილები ნახოს. ისინი ხშირად ვერ ჩამყავს ქობულეთში და მათ გარეშე მოწყენილია. ოჯახის წევრებს ყველაფერში ვეხმარები. ჩემს ახლობლებსაც არაფერი სჭირდებათ. მინდა, რომ ისინი კარგად ცხოვრობდნენ. ამას იმსახურებენ.

***– ძალიან კეთილი გული გაქვთ.***

– საერთოდ, არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი, აფიშირებას არ ვახდენ. ასეთი ადამიანი ვარ... ვერ ამიტანია, როცა ადამიანს უჭირს. საქართველოში ერთმა წმინდანმა მამა გაბრიელმა თქვა – სიკეთე შეუმჩნევლად გააკეთეთ ანუ არ არის საჭირო სოციალურ ქსელებში გამოჭიმო, ვის როგორ ეხმარები. კარგი საქმე ისე უნდა აკეთო, რომ ამის შესახებ მხოლოდ შენ და ღმერთმა იცოდეთ.

***– როდესაც ფეხბურთში კარგად არ მიგდით საქმეები, რა გაყენებთ კარგ განწყობაზე?***

– მუსიკა... ოჯახში ყოველთვის ჩართული მაქვს. ყველანაირ მუსიკას ვუსმენ, მაგრამ განსაკუთრებით მიყვარს მშვიდი ქართული მელოდიები. ძალიან მიყვარს ნიაზ დიასამიძის კომპოზიციები. რომელი სიმღერაც მომეწონება, რამდენჯერმე შემიძლია დღეში მოვუსმინო.

# ფრანგები სტატუსს ამართლებენ, ბაჰრეინი და პოლონეთი სენსაციურად იგებენ



ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი ხელბურთში ნელ-ნელა ხურდება და ეშხში შედის. ეჭვგარეშეა, რომ დუღილის ტემპერატურა ყოველდღიურად მოიმატებს და მონაწილე გუნდები გაცილებით მეტ სანახაობრივ და დაძაბულ დაპირისპირებებს შემოგვთავაზებენ.

**ა ჯგუფი**

**<u>საფრანგეთი-ნორვეგია 34:28</u>**

მესამე საშეჯიბრებო დღის ერთ-ერთი დამაინტრიგებელი მატჩი, წესით, საფრანგეთისა და ნორვეგიის შეხვედრა უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, აფიშა ნამდვილად საინტერესო დაპირისპირებას გვპირდებოდა, რამეთუ ფრანგები ამ ეტაპისთვის და 19 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში მსოფლიოში საუკეთესოს ტიტულს ატარებენ, ხოლო ნორვეგიული სახელბურთო სკოლა კი ევროპაში ერთ-ერთი სახელგანთქმული და ძლიერია.

62 გოლი, მათ შორის ლამაზი კომბინაციების შედეგად გატანილი კი ვიხილეთ, მაგრამ ნეიტრალური ქომაგებისთვის მატჩის მიმდინარეობა აშკარად უკეთესის სურვილს ტოვებდა, რადგან პირველივე წუთებიდან გამოჩნდა, რომ საფრანგეთი მიზანს ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მიაღწევდა. მოქმედმა მსოფლიოს ჩემპიონებმა კომფორტული ფორა საწყის 10 წუთში შეიქმნეს და შემდეგ მეტოქისთვის ანგარიშში მიახლოების მიახლოების შანსი აღარ მიუციათ.

თუ სასტარტო მატჩში ბაჰრეინთან გამარჯვება საზომად ვერ გამოდგებოდა, ნორვეგიელების უპრობლემოდ დამარცხებით ფრანგებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ სამართლიანად მოიაზრებიან თბილისის მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების პირველ ფავორიტებად.

34:28 – ასეთი იყო ტაბლოზე დაფიქსირებული ანგარიში საფრანგეთის ნაკრების სასარგებლოდ. ფრანგებმა ა ჯგუფში მეორე გამარჯვება მიითვალეს, ხოლო ნორვეგიელებმა, პირიქით, ორი მარცხი იწვნიეს.

**<u>ეგვიპტე-შვედეთი 26:24</u>**

ეგვიპტემ საბოლოო შედეგის გასაჩივრების შედეგად ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციას დანიასთან წაგებული ქულა რომ დააბრუნებინა, ახლა მეორე სკანდინავიური გუნდი ალალად დაჩაგრა. ფიცხელ ბრძოლაში მოსტაფა აბდელმოაზის შეგირდები შვედებს გაუსწორდნენ.

მატჩის დასაწყისი შვედებისთვის ისეთი გამოდგა უკეთესს ვერ ინატრებდნენ, ჩრდილოელები 5:0 დაწინაურდნენ და მოსაგებად კარგი წინაპირობა შეიქმნეს. არადა, ეგებ სწორედ ანგარიშმა აცდუნა ისინი. სადღაც მე-12 წუთიდან ჯერი ჰალბეკის გუნდი ერთბაშად მოდუნდა, შეუპოვარ ეგვიპტესაც მეტი რა უნდოდა და მე-20 წუთისთვის ისინი უკვე 8:6 დაწინაურდნენ. ეს იყო და ეგვიპტეს ანგარიშში უპირატესობა ხელიდან აღარც გაუშვია. მათ ტაიმი 15:10 მოიგეს.

შესვენების შემდეგ მატჩი ისევ შვედების დომინაციით განახლდა. ტაიმის შუაწელს კი ანგარიშის გათანაბრებაც მოახერხეს – 18:18. შემდეგ მსაჯებმა მოედნიდან 2-2 წუთით მოედანი 2 შვედი ხელბურთელი ერთად დაითხოვეს და ეგვიპტემაც გაილაღა. კულმინაციური სწორედ ეს 2 წუთი გამოდგა, თანაც ეგვიპტელთა მეკარე ტაჰა აბდელრახმანიც სასწაულებრივად ათამაშდა – კარის ხაზზე გადაულახავ ზღუდედ აეგო. ბოლოს შვედებმა ერთიც სცადეს გაბრძოლება, მაგრამ ეგვიპტელებმა ახლოს აღარ მიიკარეს.

**<u>ბაჰრეინი-დანია 35:31</u>**

ბაჰრეინი, რომელმაც პირველი ტურის შეხვედრა საფრანგეთთან უშანსოდ წააგო, 2 ტურის შემდეგ ქულით უსწრებს დანიას. მე-6 წუთისთვის ბაჰრეინი 3 ბურთით დაწინაურდა. როგორც აღმოჩნდა, თამაშის ბოლომდე. დანიელები ძალიან კი ეცადნენ, მაგრამ არათუ დაწინაურება, ანგარიშის გათანაბრებაც ვერ მოახერხეს. ბაჰრეინელთა უპირატესობა მთელი მატჩის განმავლობაში ორიდან ოთხ ბურთამდე მერყეობდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ბაჰრეინმა პირველი ტაიმი 20:16 მოიგო, ამდენი გოლი კი მათ ფრანგებს მთელი შეხვედრის განმავლობაში გაუტანეს.

54-ე წუთზე დანია ორი ბურთით მიუახლოვდა მეტოქეს და შეეძლოთ მატჩის ბედის სათავისოდ შეტრიალება, ინიციატივას ისინი ფლობდნენ, მაგრამ მსაჯებს მათ მიერ წესების დარღვევა არ გამოეპარათ და კლაუს ჰანსენის გაწვრთნილმა გუნდმა თითქმის წუთ-ნახევარი ორი მოთამაშის გარეშე გაატარა. ეს, ცხადია, ძალიან დაეხმარა ბაჰრეინელებს, რომლებმაც უპირატესობა გაზარდეს და თამაში მოხდენილი შეტევით დააგვირგვინეს – 35:31.

გამარჯვებულთა კარგად ითამაშა მეკარე ქასიმ ალშუვაიხმა. ალი რადის გაწვრთნილი გუნდიდან აჰმედ ფადულიც უნდა გამოვარჩიოთ. მან ყველაზე მეტი, 11 ბურთი გაუტანა დანიას.

**ც ჯგუფი**

**<u>პორტუგალია-არგენტინა 30:28</u>**

მატჩი სამწუხარო ეპიზოდით დაიწყო – სრულიად უვნებელ სიტუაციაში პორტუგალიელმა ანდრე გომეშმა საშინელი ტრავმა მიიღო და ფეხის ღია მოტეხილობით ის დარბაზიდან საავადმყოფოში გააქანეს.

ეს ამბავი მესამე წუთზე მოხდა, რა დროსთვისაც არგენტინელები 3:1 იყვნენ დაწინაურებულები. შემდეგ სამხრეთამერიკელებმა მონაგარს 2 გოლიც შემატეს – 5:1. ოსვალდო ლოპესის ბიჭებმა დებიუტშივე სოლიდური უპირატესობა მიიღეს, თუმცა კი პორტუგალია სხვანაირად ფიქრობდა. მათ სადღაც მე-8 წუთიდან სპურტი დაიწყეს და მონაკვეთი მეტოქეს 9:1 მოუგეს.

ევროპელებმა უპირატესობა მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს. არგენტინა ბოლომდე მდევრის როლში გახლდათ. ისინი სხვაობას ხან ერთ ბურთამდე ამცირებდნენ, მაგრამ გათანაბრება ვერცერთხელ ვერ შეძლეს.

**<u>კორეა-ბრაზილია 33:31</u>**

კორეელთა კვლავ დაძაბული მატჩი და ისევ ბოლო წუთებზე გამოჭედილი გამარჯვება – ამჯერად ხორვატებთან.

პირველი ტაიმი აზიელთა კარნახით წარიმართა: მე-5 წუთზე 3 ბურთით დაწინაურებულ კორეას უპირატესობა აღარ დაუთმია და ტაიმიც 18:15 მოიგო.

დაიწყო მეორე ტაიმი და სიტუაცია შეიცვალა: მაღალ ტემპში ჩატარებული პირველი ნახევრის შემდეგ კორეა შენელდა, ლუკა პანზას გუნდმა კი ამით ჩინებულად ისარგებლა. მეორე ნახევრის მე-8 წუთზე პირველად გათანაბრდა ანგარიში – 23:23 დაიწერა. ამას კორეელთა წუთშესვენება მოჰყვა. მე-12 წუთისთვის ანგარიში 24:24 იყო, კიდევ სამ წუთში მეტოქეებმა გოლები გაცვალეს, მე-16 წუთზე კი ხორვატია პირველად დაწინაურდა: ბაჰტიიარევიჩმა კიდევ ერთხელ დაარტყა ზუსტად – 26:25.

მომდევნო 10 წუთი ხორვატები ლიდერობდნენ, თუმცა კორეელთა მონდომებამ სასურველი შედეგი გამოიღო: მარჯვენა გარემარბმა იოსებ ლიმ მეორე ტაიმის 26-ე წუთზე ზუსტად დაარტყა და კვლავ დააწინაურა თავისიანები – 31:30. თამაშის ბედი 28-ე წუთზე გადაწყდა, როცა იმავე ლიმ ზუსტად შეასრულა 7-მეტრიანი საჯარიმო და ანგარიში 32:30 გახადა. ბალკანელებთან მომდევნო ორი შეტევა კორეის ნაკრების მეკარემ, საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულმა იაეპილ ლიმ მოიგერია. დარჩენილ დროში მეტოქეებმა თითოჯერ დაარტყეს ზუსტად – 33:31.

**<u>პოლონეთი-ბრაზილია 29:25</u>**

ვენესუელელთა წყალობით მსოფლიოს ჩემპიონატზე შემთხვევით მოხვედრილი პოლონეთის ნაკრები ჯგუფის ლიდერი გახდა. მათ საწყის ორ ტურში ერთმანეთის მიყოლებით სამხრეთ ამერიკული ქვეყნების, საფეხბურთო საზომით გრანდები, ხელბურთში კი შედარებით სუსტები არგენტინისა და ბრაზილიის წარმომადგენლები დაამარცხეს.

პოლონელები საკმაოდ ორგანიზებული და დაბალანსებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ, რომლებსაც ნებისმიერი მეტოქისთვის შეუძლიათ პრობლემების შექმნა. მათ ჯგუფურ ეტაპზე ურთულესი მატჩები კიდევ წინ აქვთ, თუმცა ამ 2 მოგებით პლეი ოფში გასასვლელად დიდი ნაბიჯი გადადგეს.

პირველი ნახევარი პოლონელებმა 16:8 მოიგეს. მეორე ტაიმში ბრაზილიელებმა მოუმატეს და 4:0 გაქცევაც გააკეთეს, რითიც თითქოს მატჩშიც დაბრუნდნენ და ინტრიგამაც იმატა, მაგრამ ევროპელებმა კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს და 29:25 გაიმარჯვეს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# TV პროგრამა

## ორშაბათი 14 აგვისტო

06.00 მუსიკა პირველზე 06.30 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 09.00 ტ/სერ. "წინ" წარმატებისკენ" 10.00, 02.15 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "საუკუნის პორტრეტები" 13.00, 03.15 დღის მხ/ფ "მისი მსახურის და" (დ.დურბინი) 15.00, 04.45 დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 16.15 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" 17.00 ტ/სერ. "ოფისი" 18.30, 05.45 "ტელებლოგი" 19.00 ტ/სერ. "ძველი ხიდის საიდუმლო" 20.40 "სპორტის დაფა" 21.00 ტ/სერ. "ცბიერი მოახლეები" 22.00 ტ/სერ. "მთავრობა" 23.00 "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" 23.20 მხ/ფ "სიყვარული თუ ფული" (ბ.ზონენფელდი) 01.00 მხ/ფ "ბიჭი კალიფორნიიდან"(მ.შინი)

ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზოგთ.

07.00, 14.40 სერ. "ელიფი" 08.00, 16.00 სერ. "ოჯახური პორტრეტი" 7- 8 სერ. 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15 ქრონიკა 09.20 სერ. "პატარძალი" 11.20 სერ. "ფიცი" 12.30 სერ. "ღირსების სახელით" 17.35 სერ. "ხაფანგი" 18.45, 19.03 სერ. "მოპარული ცხოვრება" 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. "ძმა" 22.30 სერ. "ელ პრინსიპე" 4 სერ. 00.00 მხ/ფ "მკვლელის ტყვია" 01.45 მხ/ფ "ინგლისური მასწავლებელი" 03.30 მხ/ფ "ბასტილიის დღე" 05.00 მხ/ფ "კონსპირატორი"

06.00, 18.45 სერ. "კაცი" 07.00, 19.45 სერ. "დესპოტი ქმარი" 08.00 სერ. "ინდიანა ჯონსის მემკვირდეები" 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 09.10 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 10.15 სერ. "მფარველი ანგელოზი" 12.30 სერ. "ვარსკვლავის დაბადება" 13.55 სერ. "ფერიჰას საიდუმლო" 15.30 სერ. "წარსულის ჩრდილი" 20.03 სერ. "დესპოტი ქმარი" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"

08.00 ან/ფ "ავატარი" 09.00 სერ. "მონკი-4" 13.00 სერ. "ძვლები" 17.00 სერ. "ინტერესის ობიექტი 5" 19.00 სერ. "გრეის ანატომია 13" 21.00 სერ. "კრიმინალური რომანი" 22.30 სერ. "მისტერ რობოტი" 1" 02.30 მხ/ფ "გაქცევა" 04.15 მხ/ფ "სიცოცხლეზე მონადირე" 06.00 მხ/ფ "სახლი ტბასთან"

08.00 სერ. "უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები" დედამიწის ფორმა 09.00 მულტ/სერ. "სისი" 09.30 დოკ/ფ "მოგზაურობა საფრანგეთში" 10.25 ავტომანი 10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25 ტელემარკეტი 11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30, 02.20 ახალი ამბები 11.20 სერ. "ყველაფერი ცხოველების შესახებ" 11.50 მოდი გავიყაროთ 12.40 ბენეფისი 15.00 სერ. "ბანდოლერა" 16.25 Hellow თბილისი 18.00 ღია სტუდია 19.55 მე რომ ვიყო 20.00 სერ. "ფოილის ომი" 21.30 დე ფაქტო 22.35 სერ. "სიყვარულსა და შიშს შორის 0.00 მხ/ფ "ჯოჯოხეთში" 1.30 მოდი გავიყაროთ 03.00 ღია სტუდია 04.00 სერ. "რაუ"

06.15 ღვთის სახლი "გაგრა" 06.35 პატერიკი-მაცხოვრის ფარული მოღვაწე 06.45 ქართული ალბომი 07.20 ჩვენი საგანძური 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 პატრიარქის ქადაგება 08.30 დ/ფ "ველური ბუნება-კომოდო" 10.15 მხ/ფ "ენი მწვანე სახურავების მამულიდან" 11.10 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "გიორგობისთვე" 13.35 "შუადღის სტუმარი"-მღვდელი იაკობ ჩიჩილიძე-მარხვა 13.55 "შუადღის სტუმარი"-დინი ვირსალაძე 14.20 დ/ფ "ველური ბუნება-ვეშაპმკვლელი" 15.05 ქართული ან/ფ 15.25 სპექტაკლი "სახელი ჩემი"-სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-ადამიანის ღვთის ხატად და მსგავსად შექმნა 18.15 ერთი დღე მონასტერში "ლიანა ისაკაძე" 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00 გზა, რომლითაც ვიარე "აკაკი შანიძე" 19.20 მიწათმოქმედი "წყლის ძიება და ნიადაგის ანალიზი" 19.40 საქართველო ევროპულ ოჯახში 20.25 კვირიაკის სიუჟეტი 20.40 ძილი ნებისა "იოსები ძმებს პატიობს" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 პატერიკი-მადლმოსილი მღვდელმთავარი 21.30 საეკლესიო აღმშენებლობა "ბედიანიდან ბედიანამდე" 22.00 დეკორატიული ფლორა "ხარისძირა" 22.15 შარავანდედი-"უნივერსიტეტის დაარსება,ს. კლდიაშვილი,დავით გვრიტიშვილი" 22.40 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-წინასწარმეტყველი ოსია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან-პავლე ინგოროყვა 23.45 ღვთის სახლი "განთიადი და ბზიფი" 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.10 ჩვენი ფონდი "ისტორიული ვითარება XVII ს ის აღმოსავლეთ საქართველოში" 00.30 კონცერტი

